

# გარეჯის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №20(82) 2014 წ. 16-31 ოქტომბერი ფასი 50 თეთრი

ინტერვიუ პირველი

## ფრიდონ ბურდული –

### საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: –

# ნდობას გავამართლებთ...



საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ფრიდონ ბურდულის *ავტობიოგრაფიული* ცნობები ჩვენ უკვე მივაწოდეთ ჩვენი გაზეთის მკითხველს.სანამ უშუალოდ მასთან ინტერვიუს შემოგთავაზებდეთ ბატონი ფრიდონის ავტობიოგრაფიულ ცნობებს დავამატებდით მხოლოდ იმას, რომ მისი მეუღლე ნანა ლაფაჩიშვილი საგარეჯოელია. ქ-ნმა ნანამ მეუღლის მსგავსად ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი – წითელ დიპლომზე. ამჟამად მუშაობს თბილისის ისნის რაიონში ოჯახის ექიმად.

უფროსი ქალიშვილი მარიანა ამჟამად თბილისის ილიას სახელობის უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსია.

უჩა – ბიზნესისა და მართვის მაგისტრანტია, მუშაობს არასამთავრობო ორგანიზაცია „ტრონში“.

ბ-ნი ფრიდონის და – მანანა ბურდული საგარეჯოელთათვის საყვარელი ექიმი-თერაპევტი ამჟამად შპს „ჯეოჰოსპიტალსის“ ერთ-ერთი წამყვანი ექიმია.

დედა – ნორა – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიური ფაკულტეტის კურსდამთავრებული წყაროსთავისა და საგარეჯოს საშუალო სკოლებში ისტორიას ასწავლიდა.

მამა – უშანგი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბანკო საქმის ფაკულტეტის კურსდამთავრებული გასული საუკუნის 60-70-80-იან წლებში საკმაოდ უნარიანად უძღვებოდა რაიონის ბანკს.

რაც შეეხება შვილიშვილებს, ისინი სამნი არიან – ტყუპები! სანდრო, ალექსანდრე და ნიკოლოზ მარგალიტაძეები. სულ ახლახანს სამივეს ორი წელი შეუსრულდათ. ცელქები, გონიერები და თითოეული ცალ-ცალკე ყოველდღიურად 1000-1000 კითხვით შეიარაღებულები.

***– ბ-ნო ფრიდონ, მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში თქვენს მიმართ უდიდესი ნდობა გამოხატა. ეს იმას ნიშნავს, რომ უმეტესობას ეიმედებით. ასევე ითქმის საკრებულოს უმრავლესობის წევრთა მიმართაც...***

– დიახ. გეთანხმებით. ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიმართ ამ მხარდაჭერისათვის მადლიერების გრძნობა მთელი ჩემი ცხოვრება გამყვება. ეს მხარდაჭერა, მოგეხსენებათ, რამხელა პასუხისმგებლობას გვაკისრებს პირადად მე და საკრებულოს სხვა წევრებსაც. მე პასუხისმგებლობის გრძნობა ჯერ კიდევ სკოლაში, ინსტიტუტში სწავლის პერიოდში გამომიმუშავდა, პასუხისმგებლობა ჯერ ოჯახის, მშობლების წინაშე და შემდეგ იმ პროფესიის დასაუფლებლად, რომლის დაუფლების შემდეგ საზოგადოებაში უნდა დამემკვიდრებინა ადგილი. ექიმის პროფესია ყველა პროფესიასთან შედარებით, იცით, როგორი საპასუხისმგებლოცაა. ისიც ცნობილია, რომ მხოლოდ პროფესიონალიზმით ვერ იქნები საზოგადოებისთვის მისაღები, აქ მთავარ როლს ადამიანებთან, საზოგადოების თითოეულ წევრთან ურთიერთობა თამაშობს. ასე, რომ უპირველეს ყოვლისა, უნდა იყო ყურადღებიანი, კომუნიკაბელური, კარგი ფსიქოლოგი, გაწონასწორებული...

***– როგორც აღნიშნეთ, თქვენ პროფესიით ექიმი ხართ, ამასთან 30-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ქართულ და რუსულ ენებზე, უკვე ოთხი თვე იწურება, რაც საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე ხართ, როგორ გრძნობთ თავს ამ ამპლუაში?***

– თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ 31 წლის მანძილზე ექიმად ვმუშაობდი, ე.ი. მე კვლავ პროფესიით ექიმად დავრჩები. ჩემი განვლილი ცხოვრება, ადამიანებთან, ავადმყოფებთან დიდი ხნის ურთიერთობა დამეხმარება იმ ურთიერთობების გარკვევა-დალაგებაში, რაც ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას უხარია თუ აწუხებს. ჯერჯერობით გულსატკენია ის, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ძალზე მწირია,რაც გვბორკავს და ხელს გვიშლის ჩვენამდე მოსული გაჭირვებული ადამიანების დახმარების საქმეში. ვნახოთ,უახლოეს მომავალში მდგომარეობის გამოსწორების იმედი მაქვს...

***– როგორია მომავლის გეგმები, ჩვენი მუნიციპალიტეტის სინამდვილიდან საკრებულოს მუშაობის პრიორიტეტულ მიმართულებად რას მიიჩნევთ?***

– მოგეხსენებათ, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის წინაშეც ერთი და იგივე პრიორიტეტები დგას. ამდენად, ჩვენი საზრუნავი, საფიქრალი და საკეთებელი იმ პრიორიტეტის განხორციელებაა, რომლებიც ჩვენს ქალაქს, თემს, თითოეულ სოფელს მოუგვარებს ათეული წლობით დაგროვილ პრობლემებს – სოფლების სასმელი წყლის ქსელების მოწესრიგება, გზების მოხრეშვა-მოასფალტება, სპორტული მოედნების მოწყობა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა შენობების შერემონტება,მათი საჭირო ინვენტარით აღჭურვა. სპორტის, კულტურის სფეროების უფრო მეტად შესწავლა და მათი შემდგომი განვითარებისათვის ხელშეწყობა, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის დაწვრილებით შესწავლა და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ისე დაგეგმვა, სოციალური დახმარების პროგრამის ისე შედგენა, რომ ჩვენ მაქსიმალურად შევძლოთ თითოეული გაჭირვებული ოჯახის დახმარება.

მაქვს დიდი იმედი და რწმენა იმისა, რომ ახლადარჩეულ;ი თვითმმართველობა შევძლებთ მოსახლეობის ნდობის გამართლებას.

***– წარმატებებს გისურვებთ!..***

– გმადლობთ!..



ძიუდო

## კობა კვლავ წარმატებებს აღწევს



**22-26 ოქტომბერს** ამერიკის შეერთებული შტატების ქ. მაიმიში გაიმართა მსოფლიოს პირველობა ძიუდოში ახალგაზრდებს შორის, სადაც წარმატებით იჭიდავა ჩვენი გაერთიანების მოსწავლემ კობა მჭედლიშვილმა (მწვრთნელი მამუკა მათიაშვილი). მან პირველი შეხვედრა მოუგო სერბ ძიუდოისტს, მეორე შეხვედრა – პოლონელს, მესამე წრეში კი ესპანელს. მეოთხედფინალში უზბეკ ძიუდოისტთან მსაჯების მიკერძოებით (ვინც ინტერნეტით ადევნებდა თვალს ასპარეზობას, დაგვეთანხმება) კობას აშკარად წააგებინეს.

დამამშვიდებელ შეხვედრაში კობამ წმინდად დაამარცხა უნგრელი ძიუდოისტი, მესამე ადგილისათვის ბრძოლაში შანსი არ დაუტოვა აზერბაიჯანელ ძიუდოისტს და ორი უმაღლესი ქულა – ვაზარი აართვა, რითაც დაიკავა მესამე ადგილი. შეგახსენებთ, რომ გასულ წელს იმავე ქალაქში გამართულ ჭაბუკთა შორის მსოფლიო პირველობაზე კობა მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

ჩვენმა ძიუდოისტმა გუნდურ პირველობაშიც იასპარეზა, მსოფლიო პირველობისთვის იაპონიის გუნდს შეხვდა, სადაც ასევე მსაჯების მიკერძოებით 3:2-ზე დავმარცხდით და გუნდური მეორე ადგილი დავიკავეთ.

**ააიპ „სპორტგაერთიანების“ თითოეული წევრი ვულოცავთ კობას ამ დიდ წარმატებას და დაბადების დღეს. მას 18 წელი 31 ოქტომბერს უსრულდება.**

*გიორგი მაისურაძე,*
***ააიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ დირექტორი***

## მუნიციპალური გვერდი

# საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა თათბირები



**22 ოქტომბერი, 2014 წელი.**

**სამშაბათის** საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ტრადიციულ თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის გამგებელი*** **გიორგი გზირიშვილი** უძღვებოდა. თათბირი დაიწყო რთვლის დამამთავრებელ ეტაპზე საუბრით. საუბარი ასევე შეეხო შეშის ბარათების მოსახლეობისათვის დარიგების მოსამზადებელ პირობებს. დაწვრილებით იქნა გამოკითხული თითოეულ სოფელში არსებული პრობლემები.

თათბირზე მოწვეული იყო კახეთის ენერგოდისტრიბუციის საგარეჯოს „ელექტროსერვისის“ წარმომადგენელი ივანე ყანდინაშვილი, რომელმაც მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა. აქვე დაისახა მუნიციპალიტეტის თითოეულ სოფელში მწვავე პრობლემების აღმოფხვრის გზები.

**28 ოქტომბერი, 2014 წელი**

**თათბირს** ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი*** **გიორგი გზირიშვილი** უძღვებოდა. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შექმნილი პრობლემების გასაცნობად და მათი აღმოფხვრის გზების დასახვისათვის თათბირზე მოწვეული იყვნენ კახეთის ენერგოდისტრიბუციის საგარეჯოს „ელექტროსერვისის“ წარმომადგენელი ივანე კობაძე, „სოკარ-ჯორჯიას“ წარმომადგენელი აკაკი შარაბიძე და სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოს“ საგარეჯოს სატყეოს მთავარი მეტყევე გიორგი ბარბაქაძე. მათ პასუხი გასცეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის სოფლებში წარმომადგენელთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

## თეონა ტაველიშვილი



**საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი**

**დაიბადა** 1985 წელს, საგარეჯოში

2002 წელს დაამთავრა საგარეჯოს II საშუალო სკოლა და სწავლა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო, რომელიც 2006 წელს დაამთავრა სამართალმცოდნეობის ბაკალავრის ხარისხით. 2006-2009 წლებში სწავლობდა ამავე უნივერსიტეტის მაგისტრატურაში, რომლის დამთავრების შემდეგ მიენიჭა სამართალმცოდნეობის მაგისტრის ხარისხი.

2004 წლის ოქტომბრიდან 2005 წლის ივნისამდე იყო ამერიკის კვლევის ცენტრის მოხალისე, ადმინისტრატორის ასისტენტი.

2006 წლის აპრილ-ივნისში იყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრაქტიკანტი.

2006 წლის ივნისიდან 2007 წლის იანვრამდე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სტაჟიორია მინისტრის ბიუროში;

2007 წლის იანვარ-ივლისი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საკადრო საკითხთა დეპარტამენტის სტაჟიორია;

2008 წლის იანვარ-მაისში შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიის მეთოდისტია;

2008 წლის ნოემბრიდან 2010 წლის მარტამდე – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტია;

2011 წლის იანვარ-აპრილი – დემოკრატიისა და სამართლებრივი განვითარების საზოგადოების ტრენერია (საგარეჯოს რაიონში);

2011 წლის აპრილ-მაისი – საერთაშორისო მუნიციპალურ იურისტთა (ბეთეზდა, აშშ) სტაჟიორია;

2011-2012 წლებში სწავლობდა აშშ ატლანტაში ემორის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში, სადაც მიიღო სამართლის მაგისტრის ხარისხი.

2011 წლის სექტემბერი-2012 წლის მაისი – აშშ-ს ატლანტის შტატის ქ. დეკატურის მერიის სტაჟიორია;

2012 წლის ივლისიდან დღემდე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსია.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

## „რთველი-2014“ დამთავრდა

## როგორია მოსავალი?

**„რთველი-2014“** გარეკახეთში უკვე კარგა ხანია დამთავრდა. ახლა შეგვიძლია იმაზე საუბარი, როგორი შემოდგომა ჰქონდათ წელს ჩვენს მევენახეებს. ***„რთველი-2014“-ის ცენტრალურ შტაბში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის კოორდინატორის*** **გია ბუჩაშვილის** ინფორმაციით მუნიციპალიტეტში წელს ყურძნის პირველად გადამამუშავებელ ქარხნებში ჩაბარებულია 3580 ტონა „რქაწითელი“, რაც ფულად გამოსახულებაში 3748575 ლარს შეადგენს. საფერავი ჩაბარდა 4405 ტონა, ანუ 8269556 ლარის, კახური მწვანე – 1127 ტონა, ანუ 1525535 ლარის, თითა და შერეული ჯიშები 70 ტონა, ანუ 61448 ათასი ლარის.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყველაზე მეტი ყურძენი ყურძნისა და ღვინის გადამამუშავებელ ქარხნებს **პაპაბეთის** მოსახლეობამ ჩააბარა. კერძოდ, რწაწითელი – 1267 ტონა, საფერავი –678 ტონა, კახური მწვანე –354 ტონა, თითა – 39 ტონა.

**ბადიაურის** მოსახლეობამ – რქაწითელი – 237 ტონა, საფერავი – 55 ტონა, კახური მწვანე –55 ტონა, თითა – 8 ტონა.

**გიორგიწმინდის** მოსახლეობამ – რქაწითელი – 116 ტონა, საფერავი – 234 ტონა მწვანე.

**დიდი ჩაილურიდან** – რქაწითელი – 208 ტონა, საფერავი – 691 ტონა, კახური მწვანე –111 ტონა, თითა – 6 ტონა.

**ვერხვიანიდან** – რქაწითელი – 260 ტონა, საფერავი – 29 ტონა, კახური მწვანე –39 ტონა.

**თოხლიაურიდან** – რქაწითელი – 324 ტონა, საფერავი – 956 ტონა, კახური მწვანე –66 ტონა.

**მანავიდან** – რქაწითელი – 521 ტონა, საფერავი – 675 ტონა, კახური მწვანე –259 ტონა, თითა – 2 ტონა.

**მზისგულიდან** – რქაწითელი – 153 ტონა, საფერავი – 211 ტონა, კახური მწვანე – 91 ტონა.

**ნინოწმინდიდან** – რქაწითელი – 7 ტონა, საფერავი – 209 ტონა,

**პატარა ჩაიულურიდან** – რქაწითელი – 65 ტონა, საფერავი – 209 ტონა, კახური მწვანე –75 ტონა.

**პატარძეულიდან** მხოლოდ 7 ტონა რქაწითელი.

**ქ. საგარეჯოს** მოსახლეობიდან ქარხნებს ჩაბარდა 171 ტ რქაწითელი, 268 ტონა საფერავი, 2 ტონა მწვანე და 9 ტონა თითა.

**ყანდაურიდან** – რქაწითელი – 81 ტონა, საფერავი – 34 ტონა, კახური მწვანე –22 ტონა, თითა – 4 ტონა.

**შიბლიანიდან** ჩაბარებულია: რქაწითელი – 158 ტონა, საფერავი – 84 ტონა, კახური მწვანე –59 ტონა, თითა – 8 ტონა.

**ხაშმიდან** ჩაბარებულია 75 ტონა საფერავი.

ყველაზე მცირე რაოდენობით 1 ტ. რქაწითელი და ამდენივე მწვანის მოსავალი ჩაბარდა წყაროსთავიდან.

ზოგიერთ მევენახეს ყურძენი სარეალიზაციოდ კვლავ დასაკრეფი აქვს.

# აღწერა იწყება



**როგორც** ცნობილია, ყველაზე სრულ ინფორმაციას მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ იძლევა მოსახლეობის აღწერები. აღწერა გვიჩვენებს, როგორია ჩვენთან მოსახლეობა, ვისგან შედგება და როგორ იცვლება. მონაცემები მოსახლეობის შემადგენლობის და რაოდენობის შესახებ მოგვცემს საშუალებას ვაწარმოოთ სოციალური და ეკონომიკური დაგეგმვა.

საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა ტარდება 10 წელიწადში ერთხელ და მიმდინარე წელს აღწერა ტარდება. საქართველოს ყველა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში – მოსახლეობის შესახებ ზუსტი მონაცემების მისაღებად, ქვეყნის მოსახლეობის დემოგრაფიული ვითარების დადგენის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრისა და საზოგადოების ინფორმირების მიზნით, აგრეთვე, სოფლის მეურნეობის შესახებ ძირითადი მაჩვენებლების მისაღებად.

„ოფიციალური სტრუქტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, საქართველოს ყველა მოქალაქე, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა უცხო ქვეყნის მოქალაქე და მოქალაქეობის არმქონე პირი ვალდებულია გაიაროს აღწერა.

შეგახსენებთ, რომ „ოფიციალური სტრუქტურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის შესაბამისად ინდივიდუალური მონაცემები კონფიდენციალურია და არ ექვემდებარება გამოქვეყნებას.

მოსახლეობის აღწერისთვის მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა 2013 წელს. ამ მონაცემების მიხედვით დარაიონდა სააღწერო უბნები.

2014 წლის 1 აგვისტოდან 15 აგვისტოს ჩათვლით გამოცხადდა ვაკანსიები, როგორც საჯარო სამსახურის ვებ-გვერდზე, ასევე ადგილობრივ ოფისში დარეგისტრირებულმა კანდიდატებმა გაიარეს ტესტირება და ამ შედეგების მიხედვით შემდგომ გასაუბრება. გასაუბრების შედეგების მიხედვით შეირჩა კადრები. აღწერისათვის ჩვენს რაიონში დასაქმებულია 172 თანამშრომელი, მ.შ. 140 აღმწერი, 28 ინსტრუქტორ-კონტროლიორი და 4 სექტორის ზედამხედველი.

სექტორის ზედამხედველებმა და ინსტრუქტორ-კონტროლიორებმა უკვე გაიარეს ტრენინგი და შესაბამისი ცოდნის შემოწმება.

აღმწერების ტრენინგი დაიწყო 25 ოქტომბერს. 4 დღის განმავლობაში ისინი გაივლიან ტრენინგს და შემდგომ ცოდნის შემოწმებას. 1-დან 4 ნოემბრამდე ტარდება წინასწარი აღწერა სქემატური რუკების საშუალებით. მოსახლეობის აღწერასთან ერთად ტარდება სოფლის მეურნეობის აღწერაც, რომელიც მოიცავს სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და პირუტყვის აღწერას. ამდენად, ძალიან შრომატევადი სამუშაო გველოდება.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მოსახლეობა გაგებით მოეკიდება ამ საქმეს, კარს გაუღებს ჩვენს აღმწერებსა და ჩააწერინებს რეალურ მონაცემებს.

აღმწერს ექნება სპეციალური ჩანთა, ბეიჯი და კეპი.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო რაიონის ხელმძღვანელობას, ბ-ნ გიორგი გზირიშვილს, ასევე საგარეჯოს რესურს-ცენტრის დირექტორს ქ-ნ მანანა ცუცქირიძეს და ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელებს იმ დიდი დახმარებისა და გვერდში დგომისათვის, რაც მათ გაგვიწიეს კადრების შერჩევაში და ტრენინგების მომზადებისათვის. შემდგომშიც აღწერის პერიოდში იმედი გვაქვს მათი და მოსახლეობის დახმარების.

*მარიამ გზირიშვილი,*

***საგარეჯოს მუნიციპალური ზედამხედველი***

# მუნიციპალური გვერდი

## კოჭბანი –
## დღევანდელი სიხარულით და ტკივილით


გამგებლის წარმომადგენელი კოჭბანში შმაგი ბერიძიშვილი

**კოჭბანის** თემში დღეისათვის 5 სოფელია გაერთიანებული – კოჭბანი, სასადილო, გორანა, იკვლივგორანა, ოთარაანთკარი. მთლიანად თემში 226 კომლია 444 მცხოვრებით. თემში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელია **შმაგი ბერიძიშვილი.** თემის სწავლა-განათლების საქმეს კოჭბანში განთავსებული კოჭბანის საჯარო სკოლა ემსახურება (დირექტორი თამარ წიკლაური), ხოლო თემის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას ოჯახის ექიმი ნათელა სკვარცოვა, რომელიც ამავე დროს გომბორის თემის ოჯახის ექიმიცაა. სამედიცინო პუნქტი თემის საკრებულოს შენობაშია განთავსებული მწირი ინვენტარით. ამავე შენობაშია განთავსებული


სამედიცინო პუნქტი


საკრებულოს შენობა

გამგებლის წარმომადგენლის სამუშაო ოთახი და ბიბლიოთეკა, რომელიც წლებია ბიბლიოთეკარის შტატის აღდგენას ელოდება. დიახ, ყოფილი ბიბლიოთეკარის რუსუდან ოთიაშვილის მიერ კოპწიად, სათუთად თაროებზე ადგილმიჩენილი წიგნები. წიგნები, რომლებიც დღესაც რუსუდანის მზრუნველობის ქვეშაა, კვლავაც მოთმინებით „ელოდებიან". რაც შეეხება ადმინისტრაციულ შენობას – შიგნით-გარეთ გარემონტებულია, მაგრამ ეზო შემოსაღობია და არც საპირფარეშო გააჩნია.

ნგრევის პირასაა მისული ერთ დროს სასოფლო კლუბად წოდებული შენობა, რომლის გადახურვას თავის დროზე და ხელის შეშველებას დიდი თანხა და გარჯა არ დასჭირდებოდა, დღეს კი საკლუბო მუშაობის სპეციალისტი ხათუნა მძელური სკოლის პედკოლექტივთან და მოსწავლეებთან ერთად აწყობს საინტერესო ღონისძიებებს, თუმცა, აქ სხვადასხვა შემოქმედებითი წრეების გახსნის და ნაყოფიერი მუშაობის დიდი სურვილი გააჩნია მას. თემს არ აქვს სტადიონი, სადაც ახალგაზრდები სპორტული თამაშებითაც დაკავდებიან.

თემში მოწესრიგებულია სულ რამდენიმე სასოფლო გზა. მოსახრეშია საუბნო გზები, მოსაწესრიგებელია სანიაღვრე არხები.

„სოფლის მხარდაჭერის" პროგრამით კოჭბანში სასმელი წყლის შიდა ქსელების რეაბილიტაცია უნდა მომხდარიყო, დასრულდა ეს პროექტი, მაგრამ თანხების სიმცირის გამო სასმელი წყლის ერთ უბნამდე მიყვანა ვერ მოხერხდა.

სოფელ სასადილოში დიდი ხანია მოსახლეობა სარიტუალო სახლის მშენებლობას ითხოვდა, რომელიც 2014 წელს „სოფლის მხარდაჭერის" პროექტით უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ... მშენებლობა ჯერაც არ დასრულებულა...

ოთარაანთ კარში დასრულდა მდინარე გომბორულას ნაპირსამაგრი სამუშაოები.

ასევე დასრულდა გორანაში სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის და შიდა ქსელის მოწესრიგება, მაგრამ თანხების სიმცირის გამო, ისევე როგორც კოჭბანში, სასმელი წყლის მიყვანა სოფლის ერთ უბანში, აქაც ვერ მოხერხდა.

იკვლივ გორანაში ჯერაც არ დაწყებულა სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის და შიდა ქსელების გაყვანა.


კლუბის შენობა



თემის მთელ რიგ სოფლებში ამორტიზებულია და გამოსაცვლელი ელექტროენერგიის გადამცემი ბოძები და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, XXI საუკუნეში სოფელ ჭეხილაში, სადაც 3 კომლი დღემდე ცხოვრობს და საგარეჯოს რაიონის გეოგრაფიულ რუკაზე მონიშნულიც აღარ არის . დენი საერთოდ არ ჰქონდათ და არც დღეს აქვთ! ნურც სოფელ მოსაცურს დავივიწყებთ, სადაც ორიოდე წლის წინ მხოლოდ ერთი ოჯახიღა ცხოვრობდა და დღეს იქ ცარიელი სახლებიღაა.

სოფელ სასადილოს 50-მდე ოჯახმა და კოჭბანის მოსახლეობის უმეტესობამ მიმდინარე ზაფხულის გვალვებისა და სარწყავი არხის გაუმართაობის გამო ვერ აიღო მოსავალი.

თემის არც ერთ სოფელს არასოდეს ჰქონია ნაგავსაყრელი, საყოფაცხოვრებო ნარჩენები თვითნებურად იყრება სოფლების შესასვლელში, მდინარეების პირას.

## ის, რაც ჩემი, შენი და ყველას პრობლემაა
### სიტყვა ჩვენს თანამოქალაქეებს – უბრალო პროფესიის ადამიანებს

**ქალაქი** თავისი ყოველდღიური ცხოვრებით ცხოვრობს, თუმცა დასაქმებული ბევრი არ არის, მაგრამ ქალაქის ქუჩებში დილიდანვე ხალხმრავლობაა. ვინ ნაკვეთებისკენ მიეშურება, ვინ სამსახურში, ვინ თავის პატარა სამუშაო ადგილზე, ვინ უბრალოდ, ხალხის დასანახად, ჭორ-მართალის გასაგებად გამოსულა. არიან ადამიანები, თავიანთ პატარა, იქნებ 3 $მ^2$ ადგილზე არსებულ სამუშაოზე ათეულობით ადამიანს ემსახურებიან, ათასი „რჯულისა" და გაგების ადამიანებთან უხდებათ ურთიერთობა. ქალაქის, რაიონის ყოველდღიურ მაჯისცემასთანაც ამგვარად აქვთ კავშირი, მავანთათვის უჩინოს ბევრი რამ გაუგონიათ, უნახავთ, ქალაქის პრობლემებსაც ხედავენ და მთიდან თუ სხვადასხვა სოფლებიდან ჩამოსულთაგან სოფლების გასაჭირიც მოუსმენიათ. ისინი უბრალო ხელობის ადამიანები არიან, მაგრამ ყველასათვის საჭირონი, არც მათი აზრის მოსმენა იქნება ურიგო და არა მხოლოდ გაზეთის მკითხველისათვის.



**თამაზ ბრატიაშვილი** უკვე 33 წელია რაც საგარეჯოში საათების და სხვადასხვა ნივთების შემკეთებელ ხელოსნად მუშაობს. ვინ მოთვლის ამ ხნის მანძილზე რამდენ საგარეჯოელსა და სოფლების მაცხოვრებლებს გაუწია დახმარება ხელმადლიანმა ოსტატმა, რამდენი ადამიანი გაუსტუმრებია სახლში კმაყოფილი. პროფესიიდან გამომდინარე. ყოველდღიურად ათეულობით სხვადასხვა ასაკის, პროფესიისა და ინტერესების მქონე ადამიანებთან აქვს ურთიერთობა, ისმენს მათ საუბრებს, საწუხარს. თვითონაც საგარეჯოელმა, მათი საუბრებიდან კარგად იცის ის პრობლემები, რაც ჩვენს თანამოქალაქეებს ,მოსახლეობას აწუხებს. საგარეჯოში სასწრაფოდ საკეთებელ საქმედ მას სასმელი და სარწყავი წყლის პრობლემების მოგვარება მიაჩნია.



სადაც წყალია, სიცოცხლეც იქ არისო – მოკლედ გამოხატა მან თავისი აზრი.

– რას ვურჩევდი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას? – ხალხს მიხედონ, გაჭირვებულ ხალხს, დაასაქმონ ადამიანები, სხვა რა უნდა ვურჩიო უპირველესად?!

**ჯამბულ ანდრიაშვილი** ათეულ წელზე მეტია ფეხსაცმელების შემკეთებლად მუშაობს საგარეჯოს რაიკავშირის შენობასთან მდებარე ერთ პატარა ჯიხურში. ჯიხური პატარაა, მაგრამ მის პატრონს აქვს ხალხის სიყვარულით სავსე დიდი გული და ოქროს ხელები. ნამუსიან და შეღავათიან ოსტატს ამიტომაც არასოდეს აკლია კლიენტი და მადლიერი ხალხი. საგარეჯოში უმთავრეს მოსაგვარებელ პრობლემად მას უმუშევრობის შემცირება, გზებისა და ტროტუარების წესრიგში მოყვანა მიაჩნია.

ჩვენს მეორე კითხვაზე – რას ურჩევდა რაიონის ხელმძღვანელობას? მანაც მოსახლეობისადმი მეტ ყურადღებაზე გააკეთა აქცენტი, თუკი, რა თქმა უნდა, ამის შესაძლებლობა არსებობსო...

მანდილოსნები კი, რომლებიც 2 ათეული წლის წინ დაწყებულმა სამუშაო უბნების გაუქმებამ, წლობით მზარდმა შტატების შემცირებებმა ქუჩაში გარევაჭრებად გამოიყვანა, ჯერ ე.წ. საგარეჯოს საკოლმეურნეო ბაზრის დახლებთან იყვნენ მიჯაჭვულნი „პურის ფულის მოსაპოვებლად". შემდეგ ბაზრის ტერიტორია გაიყიდა. იქ დიდი შენობის მშენებლობა დაიწყო, რომლის დამთავრებასაც დიდი იმედით და მოთმინებით ელიან. მათი ბრალი სულაც არ არის, თუ მომხმარებელს ისე ვერ ემსახურებიან, როგორც კაპიტალურად გაკეთებულ დახლებთან მოემსახურებიან. არც ისე არიან ჩაცმული, როგორც კლიენტებთან ურთიერთობას შეეფერება. მათ ზოგი „გაძლების გმირებს" უწოდებს. ქარსა და წვიმაში, მინუს 10 გრადუს ყინვასა და პლუს 40 გრადუსი სიცხის ამტანები. ზოგი მათგანი საბავშო ბაღის აღმზრდელი იყო, ზოგიერთი საყოფაცხოვრებო მომსახურების თანამშრომელი. ვინ წარმოებაში მუშაობდა წამყვან სპეციალისტად, ვინ რაიონის მოსახლეობას აკავშირებდა რაიონის ხელმძღვანელობასთან, მაგრამ ახლა დგანან ქუჩაში სახელდახელოდ მოწყობილ დახლებთან, თითოეულს ცალ-ცალკე რომ ჰკითხოთ, რა სურვილი აქვთ, უპირველესად რა პრობლემა უნდა მოგვარდეს ქალაქში და ყველა სოფელში, ყველა ერთსა და იმავეს პასუხობს: – სამუშაო ადგილები, დასაქმება, წარმოების გახსნა. არც ერთს არ ეხალისება ქუჩაში დგომა და „დამცირების" ატანა.



**თენგიზ ბუჩაშვილი** – „გორხანას ბიჭი" საგარეჯოს კოლორიტია. გასული საუკუნიდან მოსდევს მას კოლორიტობა, სიტყვამოსწრებულობა, იუმორით გაჯერებული მისი საუბარი დღესაც არაერთ თანაქალაქელს იზიდავს. 86 წლისაა, არც თვალის ჩინს ემდურის და არც მეხსიერებას. უსათვალოდ კითხულობს წასაკითხს და საკმაოდ აზრიანად გაწვდის ინფორმაციას ყველაფერზე. საგარეჯოს რაიონის თითოეული სოფლის თავკაცი, იქაური მოსახლეობა და მათი საქმიანობა ახსოვს გასული საუკუნის 60-70-80-იან წლებში ხორცის დამამზადებელი იყო და ამდენად ყველა სოფელთან და კახეთისა და ქართლის რაიონებთან უხდებოდა ურთიერთობა. ორ ათეულ წელზე მეტია თავის საქმიანობას ჩამოშორდა, მაგრამ, სამაგიეროდ სოფლის მეურნეობას, მიწას შეეჭიდა და თუ ახალგაზრდობაში თოხი და ბარი არ სჭერია ხელში, ახლა „ებრძვის" მიწას და საკმარისზე მეტი მოჰყავს კარტოფილი და ლობიო, სხვა ბოსტნეული და ბაღჩეული. უვლის და ესათუთება ვაზს. მაგრამ დროს პოულობს და ცენტრში ახერხებს გამოსვლას, ქვეყნისა და ქალაქის ამბების გაგებას.

– პენსიონერებს ერთი ადგილი გვქონდა, შვილო, – მეუბნება ბატონი თენგიზი, – ცენტრში, სკვერში ვიკრიბებოდით, სკამებზე ჩამოვჯდებოდით და ამ მთისას და იმ მთისას ვუყვებოდით ერთმანეთს. ძველსაც ვიხსენებდით და ახალსაც ვეცნობოდით. ახლა იმ სკამების „ჩონჩხიღაა" დარჩენილი სკვერში. არ ვიცი, რა სიამოვნება იგრძნო იმ კაცმა, ვინც ფიცრები დაამტვრია, რას გვერჩოდა ან ჩვენ – პენსიონერებს, ან სოფლებიდან ჩამოსულ ადამიანებს, ან ბავშვებს, რომლებიც აქ ერთობოდნენ?! სწორედ ასეთები უნდა დასაჯონ პატრულებმა. ჩვენი რაიონის გამგებელი ჩვენმა მოსახლეობამ აირჩია და პირველი შემთხვევაა, როცა ხალხს რაღაცას შეგვეკითხნენ და ჩვენი არჩევანი გაითვალისწინა ჩვენი ქვეყნის მთავრობამ. გიორგი გზირიშვილი საგარეჯოელია. კარგად ვიცნობდი პაპას – ზოსიმეს და მამასაც – გელას კარგად ვიცნობ. კარგი ოჯახის შთამომავალია და ეჭვი არ მეპარება გულისყურით მოეკიდება რაიონის საქმეებს. მართალია, გაკეთდა გზები, ქუჩები, მაგრამ არის ბევრი ისეთი ქუჩა – მრავალრიცხოვანი ადამიანებით დასახლებული, რომ აუცილებლად უნდა მოასფალტდეს. აი, მაგალითად, ე.წ. „ბუთლაანთ" ქუჩა, სადაც ქაიხოსროშვილები და „ჭრეელაანი" ცხოვრობენ. აქ არც ასფალტია და არც სასმელი წყალი. კარგია, თუ ჩვენი რაიონის ხელმძღვანელები ხალხის დასაქმებას მოახერხებენ. მაშინ აღარც ამდენი გაჭირვებული ადამიანი იქნება და აღარც უსაქმურობა.



## მედიცინა

# ზოგი რამ საგარეჯოში ჯანდაცვის ისტორიიდან

# როცა ხალხი ექიმს ნატრულობდა

**ცნობილი** ხალხოსანი რევოლუციონერი საგარეჯოელი ივანე ჯაბადარი იგონებდა რა საგარეჯოს მშრომელთა დუხჭირ ცხოვრებას, XIX საუკუნის 60-იან წლებში წერდა: „ჩემს სოფელში არ იყო არც ერთი ექიმი და არც ერთი ფერშალი. ყოველგვარი წამლისათვის გლეხი თბილისში უნდა წასულიყო 50 ვერსის მანძილზე“ (რუსული ჟურნალი „ბილოე“ გვ. 10).

ამავე დროს აუტანელი იყო მოსახლეობის სანიტარული მდგომარეობა. საგარეჯოში და მთელ გარე კახეთში არ არსებობდა წყალსადენი, რის გამოც ხალხი პირდაპირ რუს წყალს იყენებდა სასმელად. ქუჩებში და ორღობეებში ანტისანიტარია იყო გამეფებული და ხშირი იყო ეპიდემია და დაავადებები. უექიმობით ექიმბაშები კარგად სარგებლობდნენ.

გაზეთ „ივერიის“ 1877 წლის №34-ში მოთავსებულ კორესპონდენციაში, სახალხო მასწავლებელი ალექსანდრე ცხვედაძე წინადადებას აყენებდა – ხალხში ფული შეგროვებულიყო ექიმის დასაქირავებლად. 1879 წელს გაზეთი „დროება“ თავის ფურცლებზე 8 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში აქვეყნებდა, რომ თბილისში დაუქირავებიათ ექიმი ნიკო ხუდადოვი, რომელიც თავის მეუღლესთან ერთად ცხენით დადიოდა მოსახლეობაში და წამლებით ხელში დიდ დახმარებას უწევდა არა მარტო საგარეჯოს, არამედ ახლო-მახლო სოფლების პაციენტებსაც.

საგარეჯოდან ექიმის ნიკო ხუდადოვის წასვლის შემდეგ მოსახლეობა კვლავ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილა, უექიმობის გამო ხშირი იყო სიკვდილიანობა. ხალხი იტანჯებოდა მალარიითა და სხვა ეპიდემიური დაავადებებით. ხალხი ექიმს ნატრულობდა, მშველელი კი არსაიდან ჩანდა. მხოლოდ 1911-1914 წლებში ისევ შეგროვილი ფულით საგარეჯოში მოუწვევიათ ექიმად ზაქარია ფალიაშვილის ძმა ანტონ ფალიაშვილი, რომელიც ცხოვრობდა მღვდელ ზაქარია ქურდიანის ოჯახში (კომპოზიტორმა ზ. ფალიაშვილმა საგარეჯოში დაწერა ოპერა „დაისის“ უვერტიურა და ოპერა „აბესალომ და ეთერის“ ლიბრეტო).

XX საუკუნის დამდეგს, როგორც საქართველოს დამსახურებული ექიმი ალ. დევიძე იუწყებოდა, საგარეჯოში ფუნქციონირებდა ერთი სამედიცინო პუნქტი, ერთი ექიმის და ერთი ფერშლის შემადგენლობით. იგივე ალ. დევიძის გადმოცემით, მთელი თბილისის მაზრაში, რომლის შემადგენლობაში საგარეჯოც შედიოდა, სულ სამი კერძო აფთიაქი ფუნქციონირებდა, მათ შორის იყო ნიკო ბაზიეროვის კერძო აფთიაქიც სოფელ საგარეჯოში.

საქართველოს I დამოუკიდებელი რესპუბლიკის (1918-1921წწ) დროს საგარეჯოში ფუნქციონირებდა ერთი სამედიცინო პუნქტი, სადაც ექიმად მუშაობდა ვ. იანქოშვილი, რომელიც მალე გადაიყვანეს თბილისის მაზრის ექიმად, შემდეგ კი თბილისის მაზრის ჯანმრთელობის განყოფილების გამგედ.

ამ დროს მთელ გარეკახეთში მალარიის ეპიდემია მძვინვარებდა და მოსახლეობა შველას მოითხოვდა.

იმავე ალ. დევიძის გადმოცემით 1924 წელს მთელ გარეკახეთის სოფლებში შეიქმნა საექიმო პუნქტები სართიჭალაში, საგარეჯოსა და გომბორში. საფერშლო პუნქტები – ხაშმსა და პატარძეულში. იმავე პერიოდში სოფელ მანავში შეიქმნა მალარიის საწინააღმდეგო ექსპედიცია, რაც სანეპიდსადგურის წინამორბედად უნდა ჩაითვალოს.

აქვე ვაქვეყნებთ დამსახურებული ექიმის ალ. დევიძის მოხსენებითი ბარათის ამონაწერებს, რომელიც მას გაუკეთებია საგარეჯოს I საავადმყოფოს აშენების იდეის შესახებ 1927 წელს. თან ვურთავთ ალ. დევიძის მოკლე ბიოგრაფიას.

ალ დევიძე დაიბადა 1879 წელს ჭიათურის მაზრის სოფელ პერევისაში. ალ. დევიძეს დამთავრებული ჰქონდა ვარშავისა და ხარკოვის უნივერსიტეტების სამედიცინო ფაკულტეტები (1910 წელს). უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ წლების განმავლობაში მუშაობდა თბილისისა და საქართველოს სხვა წამყვან დაწესებულებებში. მას დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში სამედიცინო დაწესებულებების ქსელის და მათ შორის ქ. საგარეჯოში I სამედიცინო ცენტრის მოწყობის საქმეში. ალ. დევიძე გარდაიცვალა 1967 წელს. მოგვყავს ამონარიდი საგარეჯოში I სამედიცინო კლინიკის – საავადმყოფოს აშენების შესახებ:



საბჭოთა ხელისუფლების დროს საგარეჯო და მთელი გარე კახეთი ჩაილურის ხევამდე შედიოდა თბილისის მაზრის სართიჭალის უბანში. მაზრის ხელისუფლების აზრი იყო საავადმყოფო გაეხსნათ სოფელ სართიჭალაში, რომელიც თბილისის მაზრის საუბნო ცენტრს წარმოადგენდა.

სართიჭალაში ამ დროს გერმანელი კოლონისტები ცხოვრობდნენ სამ უბნად. ესენი იყვნენ: მარიენფელდი, როზენტალი და პეტერგოფი.

1927 წელს დაისვა საკითხი გარე კახეთში აშენებულიყო თანამედროვე ტიპის სანიმუშო საჩვენებელი საავადმყოფო. როგორც ალ. დევიძე გადმოგვცემს, 1927 წლის აპრილში მას საუბარი ჰქონია ახალი საავადმყოფოს აშენების შესახებ თბილისის აღმასკომის თავმჯდომარესთან, რომელსაც თანხმობა განუცხადებია საგარეჯოში საავადმყოფოს აშენებაზე იმ პირობით, თუ საგარეჯოს მოსახლეობა შრომით მონაწილეობას მიიღებდა მუშა-ხელით და ტრანსპორტით. გადაწყვეტილება მაშინვე იქნა მიღებული იმ პირობით, რომ თბილისის მაზრის სართიჭალის უბნის საგარეჯოს თემსაბჭოს საავადმყოფოს მშენებლობისთვის ადგილი უნდა გამოეყოთ, აგრეთვე მუშახელით და ტრანსპორტით უნდა უზრუნველეყოთ მშენებლობა. ამ დიდ საშვილიშვილო საქმეში დიდი მონაწილეობა მიუღია თბილისის აღმასკომის მაშინდელ მთავრ ინჟინერ-არქიტექტორს, წარმოშობით საგარეჯოს მკვიდრ გრიგოლ ზაქარიას ძე ქურდიანს, რომელსაც მშენებლობის პროექტიც თვითონ შეუდგენია.

საგარეჯოს საავადმყოფოს მშენებლობა 100 საწოლზე იყო გათვლილი. ალ. დევიძემ საავადმყოფოს პროექტი ჩამოიტანა საგარეჯოში და დასამტკიცებლად წარუდგინა საგარეჯოს თემსაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ს. აბრამიშვილს, რომელმაც იმავე საღამოს მოიწვია თემსაბჭოს აღმასკომის სხდომა და ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი პროექტი.

მშენებლობისთვის მიწის ნაკვეთი უმტკივნეულოდ გამოინახა საგარეჯოს განაპირას მშვენიერ ადგილას. ეს ნაკვეთი ეკუთვნოდა საგარეჯოს სომხური ეკლესიის ტერტერას (მღვდელს) სტეფანე კახოიანცს, რომელსაც ამ ნაკვეთში სახლი და ნაკვეთი ჰქონდა. ტერტერას კომპენსაცია გადაუხადეს და ნაკვეთი მშენებლობისთვის გაამზადეს „სომხის უბნის“ სამხრეთით.

თბილისის აღმასკომმა მშენებლობის პროექტის დამტკიცებისთანავე გამოყო სამშენებლო მასალა, ფინანსები და იმავე 1927 წლის მაისში დაიწყო მშენებლობა. საგარეჯომ და ახლო-მახლო სოფლებმა დიდი ენთუზიაზმით მიიღეს მონაწილეობა. ურმებით ეზიდებოდნენ სამშენებლო მასალებს, ხოლო მუშა-ხელიც აქტიურად იყო ჩაბმული მშენებლობაში. 1928 წელს უკვე აშენებული იყო 1 კორპუსი 50 საწოლზე.

***საგარეჯოს საავადმყოფო საზეიმოდ გაიხსნა 1929 წლის ივნისში. იგი აშენდა თბილისის აღმასკომის ფინანსური დახმარებით და საგარეჯოს მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით ადგილობრივი ბიუჯეტის გარეშე.***

ახალი საავადმყოფოს I კორპუსი შედგებოდა 30 ოთახისაგან, საიდანაც საავადმყოფომ დაიკავა ზედა სართული. საავადმყოფოს ჰქონდა შემდეგი განყოფილებები: ქირურგიული – 15 საწოლზე, თერაპიული – 20 საწოლზე, გინეკოლოგიური – 15 საწოლზე.

საავადმყოფო, დღიდან თავისი არსებობისა, ითვლებოდა საჩვენებლად, რადგან იმდროინდელ საქართველოში სოფლად ასეთი საავადმყოფო არსად არ იყო. საავადმყოფო აღჭურვილი იყო იმდროინდელ კვალობაზე საუკეთესო სამედიცინო ტექნიკითა და ინვენტარით, თეთრეულით. I სართულზე გახსნილი იყო ამბულატორია, ლაბორატორია და სხვა დამხმარე დაწესებულებები.

საავადმყოფო უზრუნველყოფილი იყო სათანადო კვალიფიციური მედპერსონალით, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევდნენ პროფესორი ალ. დევიძე, თბილისის წამყვანი მედიკოსები; აკად. გ. მუხაძე, პროფესორი გ. ზანდუკელი და სხვები.

საგარეჯოს საავადმყოფომ დიდად გაითქვა სახელი არა მარტო თბილისის მაზრის მოსახლეობაში, არამედ მთელ საქართველოში. საავადმყოფის I გამგე (მთავარ ექიმად) დაინიშნა გამოცდილი ექიმი ნიკოლოზ კაჩუხაშვილი, რომელიც ამავე დროს ექიმი თერაპევტიც იყო. ქირურგად მუშაობდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი იური მოისეევი.

თავისი მუშაობის პირველივე წლებში საგარეჯოს საავადმყოფო მართლაც სანიმუშო და თითით საჩვენებელი იყო. მას უდიდესი ქებადიდებით იხსენებდნენ ყველგან, მაგრამ ეს სახელი შემდგომ წლებში გაფერმკრთალდა და გადაიქცა უბრალო პროვინციულ საავადმყოფოდ.

*ალ. ელერდაშვილი,*
***სწავლული ისტორიკოსი, მწიგნობარ-ბიბლიოფილი, კულტურის დამსახურებელი მოღვაწე***

**რედაქციისაგან**: საგარეჯოს რაისაავადმყოფო 1976 წლამდე ფუნქციონირებდა, შემდეგ კი რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს უფრო ფართო, ოთხსართულიან შენობაში გადაიტანეს. 1987 წლამდე საავადმყოფო გაძარცული, თითქმის განადგურებული იყო. შემდეგ კი მაშინდელი რაიკომის მდივნის მედეა მეზვრიშვილის ძალისხმევით გარემონტდა, ახალი შენობა კაბინეტ-ლაბორატორიებით მოუშენდა ჩრდილოეთიდან და ერთ დიდ სამკურნალო დაწესებულებად – ბავშვთა რაიონულ საავადმყოფოდ წარმოგვიდგა გარეკახელებს. უნარიანი მედიცინის მუშაკები აქ 90-იანი წლების დასაწყისში, უშუქობასა და სიცივეში, უწამლობაში სასწაულებს ახდენდნენ ცარიელი ხელებით. სწორედ ამ პერიოდში მეორე სართულზე ქირურგიული განყოფილება გაიხსნა, სადაც საგარეჯოელი – მოსკოვში განათლებამიღებული ქირურგი ზურაბ პეტრიაშვილი ოპერაციებს ხშირ შემთხვევაში ქველმოქმედების სახით აკეთებდა. 1993 წელს კი ბავშვთა რაიონულ საავადმყოფოს რეანიმაციის კაბინეტიც შეემატა. ეს მართლაც ყველაზე დიდი საჩუქარი იყო რაიონის მოსახლეობისათვის. კაბინეტი რაიონის პატარებს საგარეჯოელმა ვასილ დარბაისელმა (ამჟამად საგარეჯოში გამგებლის წარმომადგენლის თანაშემწეა) თავისი საკუთარი თანხებით შეუძინა და თავადვე უზრუნველყო მისი ტრანსპორტირება და დამონტაჟება. აქ არ იყო მცირე თანხაზე საუბარი (300000 ლარი დღევანდელი კურსით), მაგრამ მას არ შეეძლო დახმარების ხელი არ გაეწოდებინა იმ პატარებისათვის, რომლებიც სწორედ ასეთი სამედიცინო აპარატურის უქონლობის გამო თბილისის საავადმყოფოში უმძიმეს მდგომარეობაში გადაჰყავდათ და ორი შემთხვევა ტრანსპორტირებისას მძიმე შედეგით – ლეტალობითაც დამთავრდა. მაშინ მის შვილებს არ ემუქრებოდა ის დაავადება, (კუჭ-ნაწლავის მწვავე დაავადება), რომელიც გავრცელდა კახეთის რეგიონში და არა მარტო აქ. თვეების განმავლობაში ვასილ დარბაისელი საკუთარი შემოსავლებიდან ყიდულობდა ამ დაავადების განსაკურნებელ ანტიბიოტიკს, დიდი რაოდენობით ჩამოჰქონდა საგარეჯოს ბავშვთა საავადმყოფოში და უსასყიდლოდ გადასცემდა საავადმყოფოს ხელმძღვანელობას, რომელიც შემდეგ კახეთის სხვა რაიონებსაც უნაწილებდა აღნიშნულ დეფიციტურ მედიკამენტს. მეტი ქველმოქმედება ამ საავადმყოფოს აღარც ახსოვს... მალე დაიხურა ქირურგიული განყოფილება, ბავშვთა საავადმყოფო ახლადშექმნილ შპს-ს მიუერთეს, როგორც მიმართულება (განყოფილება), არავინ უწყის, რა ბედი ეწია რეანიმაციის კაბინეტში არსებულ აპარატურას, სადაც დღენაკლულ ჩვილთა ინკუბატორიც იყო...

დღეს ყოფილი საგარეჯოს ბავშვთა საავადმყოფოს, ყოფილ რაიონული საავადმყოფოს შენობას დიდი ბოქლომი ადევს. 2011 წლის შემოდგომიდან აქ დარაჯი თუ ხსნის კარებს. ერთხანს ამბობდნენ შპს „ჯეოჰოსპიტალსმა“ შეიძინა, მავანი ამბობს მიზერულ თანხადო. ერთი ეგ არის, არ ვიცით ვისია და მისი პატრონი სამომავლოდ რას უპირებს შენობას, რომელსაც ამ ზაფხულს 85 წელი შეუსრულდა. დასანანია, ულამაზესი შენობა თავისი შემოგარენითა და ადგილმდებარეობით იძარცვებოდეს და მაწანწალა ძაღლების, ცხოველების თავშესაფრად იყოს ქცეული...

თუმცა, იმედს ვიტოვებთ და შევახსენებთ ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, წინასაარჩევნოდ ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად მუნიციპალური საავადმყოფოს აღდგენას გვპირდებოდნენ... იქნებ ღირდეს იმ შენობის უკან დაბრუნება, რომელიც შეიძლება მალე (სულ 15 წელიწადში) ისტორიულ ძეგლთა ნუსხაშიც შევიდეს. იყო პერიოდი, ყველაფერი გაიყიდა, მაგრამ ყველაფერს ღირებულს და ფასეულს ნუ გადავაყოლებთ, რადგან ეს შენობაც ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი „რელიქვიაა“..

---

# ხალხური მედიცინა გვირჩევს

## ბრძენი ჩინელი: „ავადმყოფის მკურნალობას, მისი თავიდან აცილება სჯობს“

## რევმატიზმი

**ზოგიერთი** მეცნიერი მიიჩნევს, რომ რევმატიზმის ძირითადი მიზეზი ხორციანი საკვებია, რომლის მიღებისას ორგანიზმში დიდი რაოდენობით წარმოიშვება შარდმჟავა. მისი მინის ნამსხვრევებივით მახვილი, უწვრილესი კრისტალები თავს იყრიან კუნთებში და მწვავე ტკივილებს იწვევენ. ამიტომ ბევრი ექიმი ურჩევს ადამიანებს, ხელი აიღონ ხორცეულზე და იკვებონ ვეგეტარიანული საკვებით. ამასთან, ზოგიერთი მეცნიერის აზრით, რევმატიზმს ორგანიზმში ალბუმინების სიჭარბე იწვევს, რომელსაც ხორცის გარდა დიდი რაოდენობით მას თევზეული, კვერცხი, ყველი შეიცავს. ამიტომ, თვლიან, რომ რევმატიზმის მკურნალობის მთავარი საშუალება – დიეტაა. მედიცინის ისტორია ბევრ სიკეთეს გვთავაზობს, მათგან თითქმის ყველა სიკეთის ჩვენს სიკეთედ შემობრუნება შეგვიძლია. პირველი არის ის, რომ გარდა დიეტისა (წელიწადში ერთხელ ხუთი ან ექვსკვირიანი ვეგეტარიანული დიეტა – ნედლი ბოსტნეული და ხილი) რევმატიზმისა და მრავალი სხვა დაავადებებისგან დაიცავს ადამიანს. გარდა დიეტისა, აუცილებელია კვირაში ერთი დღე-ღამე მთლიანად ვიშიმშილოთ. 35 წლის შემდეგ კი, წელიწადში ორჯერ ვიშიმშილოთ 15-20 დღე.

**რევმატიზმის მკურნალობის ძველი რუსული ხალხური საშუალება:**

1. ავიღოთ 200 გრამი მარილი და 125 გრამი მდოგვი. დავუმატოთ იმდენი ნავთი (კარგად დაწმენდილი), რომ არაჟნის მსგავსი ნარევი მივიღოთ.

ძილის წინ დავიზილოთ მტკივნეული ადგილები შეშრობამდე.

2. თანაბარი რაოდენობით ავიღოთ გოგირდმჟავა და სელის ზეთი, ავურიოთ ორივე ინგრედიენტი მჭიდროდ დახურულ ჭურჭელში, მაგრამ არ შევანჯღრიოთ. ფუნჯით წავუსვათ მტკივნეულ ადგილებში დღე-ღამეში ერთხელ. წასმიდან 15 წუთის შემდეგ შევუხვიოთ ოთხად მოკეცილი დოლბანდით. თუ რევმატიზმიანი ადგილები მალამოს ზემოქმედებით განაგრძობენ მტკივნეულად რეაგირებას, მაშინ აღნიშნულ საშუალებას იშვიათად უნდა მივმართოთ, ე.ი. ორ-სამ კვირაში ერთხელ. ხშირად მკურნალობის ერთი ან ორი სეანსის შემდეგ აუცილებელი ხდება შედარებით სუსტი შემადგენლობის მალამო, როდესაც გაუზავებელი გოგირდმჟავას ერთ წილს სელის ზეთის ორი წილი აქვს შერეული.

3. ჩავასხათ 250 გრამი პროვანსული ზეთი შამპანურის ბოთლში, რომელსაც კარგი საცობი აქვს, ჩავყაროთ ათიდან ოცამდე წითელი წიწაკა, იმისდა მიხედვით, როგორი სიმაგრის გვინდა იყოს საცხი, დავამატოთ 250 გრამი გაწმენდილი ნავთი და კარგად შევანჯღრიოთ. დავდგათ თბილ ადგილზე და ყოველდღე ვანჯღრიოთ. 10 დღის შემდეგ ამ ნარევით დავუზილოთ მტკივნეული ადგილები ავადმყოფს. ეცადეთ თბილად ჩააცვათ მეორე დღეს ავადმყოფს.

რჩევა: თუ რომელიმე ნაყენმა გაგიღიზიანათ კანი, წაისვით ვაზელინი ისე, რომ კანი არ დაიზიანოთ.

## „ვისაც რაიმე ჩვენთვის აქვს სათქმელი"

**ამ რუბრიკით გამოქვეყნდება გაზეთის რედაქციაში შემოსული თქვენი ნოველები, ნარკვევები, ჩანახატები, ლექსები, ინტერვიუები, უბრალოდ – გულიდან წამოსული და სულის გამოძახილი.**

### მამა გაბრიელ

უფალმა გადმოგვხედა, მადლი გაიმეტა!
ჩვენდა საცხოვნებლად.
ჩვენდა მწყალობელად,
მოგვმადლა შენი თავი
მამა გაბრიელ!
ქართველთ მოსარჩლედ და
ბოროტთ განმდევნელად,
სნეულთ განმკურნებლად,
უსასოთ ქმნილთ – ნუგეშისმცემლად,
სულით გვემულთ – დამწყნარებლად,
მშიერთ დამპურებლად,
დაცემულთ აღმდგენლად,
მტირალთ ცრემლისმწმენდად
უფალმა წარმოგვზავნა
მამა გაბრიელ!
რწმენის სიმტკიცისთვის,
მოყვასთ ამბორისთვის,
სიმდაბლის მქადაგებლად,
სიკეთის აღსაქმელად
შენ აგირჩია, მამა გაბრიელ!
ქართველი ერისთვის –
თავდადებისათვის,
მოყვასთ სიყვარულით –
გულანთებისათვის,
ბოროტთ შემუსვრით –
„უფლის დიდებისთვის"!
მაღლით ილოცება მამა გაბრიელი!
უფალმა გულმოწყალემ
ცოდვები მოგვიტევა,
გულს გვფინა ვარდი და იელი.
ჩვენდა კურთხევად და საცხოვნებლად,
მოგვმადლა წმინდა გაბრიელი!
საფლავი ყვავილნარით,
გული სალბუნით,
ზეთით და მირონით,
სანთლით და ბარძიმით,
რწმენით ღვთისადმი,
უფლის სიყვარულისთვის
მაღლით მადლს გვიგზავნის
მამა გაბრიელი!
მადლი გაიმეტა, ჩვენდა მწყალობელად
მოგვმადლა შენი თავი
მამა გაბრიელ!

*მზია მიქელაშვილი*

### დედას!

**ეს ლექსი თამარმა გაზაფხულის პირზე დაწერა. აგვისტოს ბოლოსთვის კი თამარს საფიცარი დედა ზეციურ საქართველოში გადავიდა. ამბობენ, დედა-შვილი უხილავი ძაფით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულიო, ალბათ კი არა, ასეა, ასე...**

რამ დამასიზმრა შენი სიკვდილი,
სული სხეულს სულ გამოეცალა...
მერე ქუჩაში მხვდება ნაცნობი,
თამარ! შენ დედა გარდაგეცვალა?
რამ დამასიზმრა...
შენს სასთუმალთან ვიჯექი მარტო,
მოფერებისთვის აღარ გეცალა,
მინდა ფიქრებით გელაპარაკო,
ყველა ოცნებაც გარდამეცვალა.
რამ დამასიზმრა...
მზარავს მე შენი სახის სიფითრე,
თითქოს ვეღარ ვგრძნობ
სიცოცხლის ფერებს,
თვალებზე ცრემლი შეგამჩნიე
და მე მოგეფერე.
რამ დამასიზმრა შენი სიკვდილი,
შენს სასთუმალთან ვიჯექი მარტო.
დარდისფერდება მოგონებები,
ამ ასაკშიც კი შენს სითბოს ვნატრობ.
რამ დამასიზმრა...
შენი სიკვდილი...

*თამარ ურდულაშვილი*

• • • • • • • • • • • • • • • • • •

**ლია ბრძელიშვილი**

### კვირა დღე

**კვირა** დღე გათენდა და მზემ ცის კაბადონიდან მოჰფინა არემარეს სხივები. ეკლესიიდან ზარების რეკვა მოისმა. ფიქრებით დამძიმებული გავუყევი გზას. გულს მიღლის ფიქრი, რომ მარადიული არაფერი არ არის, გარდა უფლის გზისა. ეს გზა კი სიყვარულის და სიკეთის გზაა. მრევლი ესალმება ერთმანეთს, ჩუმად მოიკითხავენ და მოკრძალებული ნაბიჯებით მიდიან ღვთისმშობლის ხატთან, ანთებულ სანთელს ჩუმად ანდობენ სევდას და სიხარულს. რამდენ ტკივილს და სიხარულს ისმენს ტაძრის მდუმარე კედლები! რამდენ ფიქრს და ოცნებას იტევს ტაძარი. „დიდება შენდა ღმერთო". მხოლოდ ღმერთი ისმენს თითოეულ სიტყვას გულიდან ამოსულს. მხოლოდ მისი ძალა და მადლი ჰმატებს კაცს შეძლებას, რათა შეეგუოს და გაუძლოს მას, რასაც ვერ შეცვლის. რამდენი ლოცვა შეუსმენია, რამდენი ნატვრა აჰყოლია სანთლის ალს და მისწვდენია უფლის ყურსა და გულს.

ღმერთო, შეისმინე ყველა ქართველის კეთილი თხოვნა და ოცნება. დაიცავი და დაიფარე ჩვენი პატარა სამშობლო – საქართველო. გამრავლდეს და იხაროს ქართველმა ერმა ქართულ მიწაზე!

***

გზას მივუყვები ძველსა და ნაცნობს –
ვუცქერ ქვებს როგორ ედება მტვერი,
გული სავსე მაქვს სევდით და დარდით,
მაგრამ მტრის ჯიბრზე მაინცა ვმღერი.
მივალ ტაძართან ლოცვა-ვედრებით,
გულის იარა დამიამდება,
ღმერთო, შემინდე ცოდვილი სული,
გთხოვ – მომირჩინო მწარე იარა.
მაგრამ არასდროს არ დავეცემი,
არ ვემონები ეშმაკის ძალას,
ჩემში ბოროტი ვერ ისადგურებს –
გულში მექნება სიკეთე მარად.

# 1800 წლის 7 ნოემბრის ბრძოლა ნიახურასთან

**ჩვენი რაიონის ისტორიიდან**

### მოკლე ცნობა

**ქართველი** ხალხის ისტორიაში გარკვეული ადგილი უკავია 1800 წლის 7 ნოემბრის ომს ჩაილურის მახლობლად ნასოფლარ ნიახურას ციხესთან. აღა-მაჰმად ხანის შემოსევის შემდეგ ეს ომი ერთ-ერთი დიდი ბრძოლა იყო იმ დროის მასშტაბით. ირანის შაჰის დასტურით და საქართველოს სამეფო ტახტის პრეტენდენტ ალექსანდრე ბატონიშვილის თხოვნით ავარიის მმართველმა ომარ ხანმა დიდ ლაშქარს მოუყარა თავი ბელაქანში და იწყო მზადება საქართველოში შემოსაჭრელად. ეს ამბავი შეუმჩნეველი არ დარჩენია იმდროინდელი საქართველოს მმართველ წრეებს. ამიტომ გიორგი XII-მ თავისი ელჩის გარსევან ჭავჭავაძის პირით რუსეთის იმპერატორ პავლე პირველს სთხოვა სამხედრო დახმარება და 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული პირობების შესრულება. იმპერატორის ბრძანებით 1799 წელს ნოემბრის ბოლოს თბილისში ჩამოვიდა ეგერთა 46-ე პოლკი გენერალ ლაზარევის სარდლობით. 1800 წელს 23 სექტემბერს მოზდოკიდან თბილისში ჩამოვიდა კიდევ ერთი პოლკი გენერალ-მაიორ გულიაკოვის სარდლობით.

ომარ ხანმა და ალექსანდრე ბატონიშვილმა შეადგინეს სამხედრო ოპერაციების გეგმა, რომლის თანახმად თბილისზე უნდა გაელაშქრათ საგარეჯოზე გავლით. მათი მიზანი იყო ბრძოლით აეღოთ საგარეჯო და საგარეჯოს ციხეში დაეტოვებინათ გარნიზონი 2 ათასი კაცის შემადგენლობით, შემდეგ კი თბილისში შეჭრილიყვნენ. მალე ომარ ხანი დაიძრა სალაშქროდ, გადმოლახა ალაზანი და ყარაღაჯთან დაბანაკდა თუქურმიშის მახლობლად (ახლანდელი დედოფლის წყარო). ომარ ხანის ლაშქარი 15 000 კაცისაგან (ზოგი ცნობით 20 ათასი) შედგებოდა. ომარ ხანი სწრაფი მარშით მოიწევდა.

გენერალი ლაზარევი 28 ოქტომბერს რუსთა ჯარით თბილისიდან სიღნაღისკენ გაემართა. ამავე დროს სიღნაღში თავს იყრიდა ქართლ-კახეთის სახელდახელოდ შეკრებილი ლაშქარი.

1 ნოემბერს გენერლები ლაზარევი და გულიაკოვი უკვე სიღნაღში იყვნენ. ლაზარევმა სცადა ომარ ხანთან მოლაპარაკების გამართვა, რათა იგი საქართველოს უომრად გასცლოდა, მაგრამ მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღო. ქართველებისა და რუსთა ჯარები შეერთდნენ და დაიწყეს მზადება საომარი ოპერაციისათვის. ქართველთა ჯარს სარდლობდნენ ბატონიშვილები ბაგრატი და იოანე.

რუს-ქართველთა გაერთიანებული ჯარი სიღნაღიდან ცივ-გომბორის მაღლობებით გაემართა და სოფელ პრასიანთან დაბანაკდა. რუს ქართველთა ჯარის უფროსებმა გაიგეს რა, რომ ომარ ხანი სწრაფი მარშით მიიწევდა თბილისისკენ, გადაწყვიტეს თავად დასხმოდნენ თავს ომარ ხანს. ომარ ხანის ჯარმა რუს-ქართველთა ჯარს გაასწრო 5 ნოემბერს და მდინარე ივრის ხეობისკენ დაიჭირა გეზი. რუს-ქართველთა ჯარი ელვის სისწრაფით გამოეკიდა ომარ ხანს და გადაწყვიტა ზურგიდან დაერტყა მისთვის.

7 ნოემბერს რუს-ქართველთა ჯარი წამოეწია ომარ ხანის ჯარს ივრის მარჯვენა სანაპიროზე კაკაბეთის და ჩაილურის ბოლოზე. ომარ ხანმა კარგად შეაფასა მოწინააღმდეგის მოახლოება და გადაწყვიტა აქ გაემართა გენერალური ბრძოლა.



რუს-ქართველთა ჯარი შემდეგნაირად იყო განლაგებული: მარჯვენა ფრთას ეგერთა XVII რაზმის ბატალიონი შეადგენდა, რომელსაც თვითონ გენერალი ლაზარევი სარდლობდა. მარცხენა ფრთაზე გენერალ-მაიორ გულიაკოვის მეთაურობით მუშკეტერტა ბატალიონი იდგა, ხოლო შუაგულში – ქართველთა ჯარი ბაგრატისა და იოანეს სარდლობით. წინ ქვეითი მეომრები იდგნენ, უკან ცხენოსანი. აქვე იდგა არტილერია 4 ზარბაზნის შემადგენლობით.

ბრძოლა ომარ ხანმა დაიწო. შეტევაზე გადავიდა მისი ცხენოსანი ჯარი, მაგრამ ლაზარევის ეგერებმა მათ საკადრისი პასუხი გასცეს. რაკი ცხენოსნებმა ლაზარევთან ვერაფერი გააწყეს, ქართველთა ჯარს შეუტიეს, მაგრამ აქაც უკუგდებულ იქნენ. ქართველმა ცხენოსნებმა მამაცური შეტევით უკან დაახევინეს მტერს. ომარ ხანის ძლეულმა და საკმაოდ შეფერთხილმა კავალერიამ და ქვეითმა ჯარმა გიორგიწმინდის კოშკთან მოიყარა თავი (გიორგიწმინდის ბოლოზე), მაგრამ რუსთა არტილერიამ საკადრისი პასუხი გასცა მტერს. საბოლოო შეტაკება კოშკთან ომარ ხანის სრული განადგურებით დამთავრდა. აღნიშნული ბრძოლა 3 საათს გაგრძელდა.

ამ ბრძოლაში თავგანწირვით იბრძოდნენ ლაზარევის ეგერები და გულიაკოვის მუშკეტერები, ქართველი ცხენოსნები და ქვეითნი.

მიუხედავად მტრის ჯარის რიცხობრივი უპირატესობისა, რუს-ქართველთა გაერთიანებულმა ჯარმა (სულ 7 ათასზე ცოტა მეტმა) ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია. ბრძოლის ველი მტრის გვამებით მოიფინა.

დამარცხებულმა ალექსანდრე ბატონიშვილმა ისევ ირანს მიაშურა.

***1800 წლის 7 ნოემბრის ბრძოლა იყო უკანასკნელი ომი ქართულ მიწა-წყალზე. ნიახურას ბრძოლამ ცხადყო, რომ დამთავრდა საქართველოს აწიოკება და ამიერიდან ვეღარც ირანი და ვეღარც ოსმალეთი ძველებურად ვეღარ იპარპაშებდნენ საქართველოში.***

გენარალ ლაზარევის რაპორტიდან (მოხსენებითი ბარათი) გენერალ კნირინგს 1800 წლის 14 ნოემბერს).

მოხსენებითი ბარათი ეხება 1800 წლის 7ნოემბრის ნიახურას ბრძოლის დაწვრილებით აღწერას.

ბრძოლა მოხდა მდინარე იორის სანაპიროზე, ნიახურის მიდამოებში, სოფელ ჩაილურისა და კაკაბეთის სამხრეთით, ციხის მიდამოებში.

ალექსანდრე ბატონიშვილის მიზანი იყო აეღოთ საგარეჯოს ციხე და იქ ჩაეყენებინათ გარნიზონი 2 ათასი კაცის შემადგენლობით.

საგარეჯოს ციხის აღების შემდეგ ალექსანდრეს მიზანი იყო ომარ ხანის ჯარის ნაწილი თბილისის ასაღებად გაეგზავნა.

ნიახურას ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა ომარ ხანი, მოკლულ იქნენ ნიახურის ბრძოლაში ომარ ხანის მოადგილე ჯანგუთაი, ხომუტაი ყუმუხელის შვილი, ომარ ხანის სარდალი ალესკანდერი. ამავე ბრძოლაში დაიღუპა ომარ ხანის 2 000 კაცი. რუსების მხრიდან დაიღუპნენ 1 მუშკეტერი, მსუბუქად დაიჭრნენ ეგერთა პოლკის პორუჩიკი გოლოვანევი, ერთი ეგერი, 1 მუშკეტერი, აგრეთვე ქართველებთან მყოფი კაპიტანი კალანდაროვი, არტილერიის 7 ცხენი.

(წყარო: Акты ტ, I გვ. 176).

განსაკუთრებით ისახელეს თავი გენერელმა გულიაკოვმა. გულიაკოვის მუშკეტერთა პოლკიდან მაიორებმა სოლინიუსმა და სებასტიანოვმა, კაპიტნებმა ალექსეევმა და ჟილენკოვმა, პორუჩიკებმა ბადიროვმა და თავადმა ორბელიანმა, აგრეთვე ოგანოვმა. დიდი გმირობა ჩაიდინეს პორუჩიკ ნოვიცკის ჯარისკაცებმა, რომელთაც დროშა წაართვეს მოწინააღმდეგეებს.

ასევე დიდი გმირობა გამოიჩინეს შეფ-ადიუტანტმა პორუჩიკმა რიკოვმა.

უმცროს მეთაურთა შემადგენლობიდან გამოირჩეოდნენ ფელდფებელი მიხაილოვი და უნტერ-ოფიცერი ეგოროვი.

(წყარო: Акты ტ, I გვ. 176.)

ამ ბრძოლაში დიდად გამოიჩინეს თავი ქართველმა მხედრობამ ბატონიშვილების იოანეს და ბაგრატის მეთაურობით (გიორგი XII-ის შვილები).

(წყარო: Акты ტ, I გვ. 176.)

ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი ასე აღწერს ნიახურას ომში დატყვევებული ლეკების ჩამოყვანას:

„... ლეკთა ბაირაღები მიტაცებული მძლეველთაგან მოაქვნდათ თვით ლეკთა ტყვედ შეპყრობილთა, ეგრეთვე ზურნა და დაფი ლეკებისა. მცხოვრებნი ქალაქისა ავლაბრიდან სასახლემდე მოჰყვებოდნენ ძლევამოსილსა ღენერალსა ზურნითა და დაფითა და საყვირითა; მეფის ძენი იოანე და ბაგრატ,– რომელნი დაესწრნენ ბრძოლასა ამას დიდსა და სახელოვანსა და რომელნიცა დააჯილდოვა იმპერატორმა პავლემ ბოძებულთა მათდა მე-2 ხარისხისა იოანე იერუსალიმელის ორდენითა, – იდგნენ მარჯვნის და მარცხნის ღენერლისა" (გულიაკოვი).

(წყარო: პლატონ იოსელიანი „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა")

საგარეჯოს ომში (ნიახურასთან) მოკლეს ომარ ხანის ერთი სარდალი ჯონგათაი, რომლის თავი მეფე გიორგის მიართვეს. თვით ომარ ხანიც დაიჭრა ამ ომში, ჭრილობები ვეღარ მოიშუშა და გარდაიცვალა ზაქათალაში, დაკრძალულია ზაქათალის დიდ მეჩეთში.

ნიახურის ომში თავი გამოიჩინეს ქართველთაგან

მეფის ძენი: იოანე, ბაგრატი;

ქართლის თავადნი: პაატა აბაშიძე, ნაზირი მეფისა ზაალ ბარათაშვილი, გიორგი ხერხეულიძე, გაბრიელ რატიშვილი.

კახეთისა: რევაზ ანდრონიკაშვილი, ქიზიყის მოურავი, ზაზა ანდრონიკაშვილი, სახლთუხუცესი მეფის ძის იოანესი.

იოანე ზურაბიშვილი, ზაზა ზურაბიშვილი, იოანე ანდრონიკაშვილი, როსეფ ჯანდიერიშვილი, გიორგი ჯანდიერიშვილი, ადამ ვაჩნაძე, იოსებ ვაჩნაძე, ასლან ონანაშვილი, გიორგი ჩოლოყაშვილი, დიმიტრი ჩოლოყაშვილი, ფშავისა და თუშის მოურავი ლუარსაბ სუმბათაშვილი. მიმბაში იოსებ ჯაჭვაძე, ნაზირი მეფისა ილია ავალიშვილი, იოანე ქობულაშვილი, პოლკოვნიკი ქართველთა თოფხანისა, ალექსი ყალათარიშვილი, კაპიტნად წოდებულ ქართველთ თოფხანისა და გიორგი ჩამბურიშვილი კაპიტანივე ჯაბახანისა. ამავე ომში დაესწრნენ ექიმნი ქართველთა მეფისა ფრანგის სარწმუნოებით ოსეფა ყარაშვილი და შვილი მისი იოანე.

(წყარო: პლატონ იოსელიანი „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა")

*ალ. ელერდაშვილი,*

***საქართველოს კულტურის დამსახურებული მოღვაწე, სწავლული ისტორიკოსი, მწიგნობარი.***

### მართლმადიდებლობა

# თუ სიყვარული არ გვაქვს, უფალს ვერ განვადიდებთ

**წმინდა** მეფე დავით წინასწარმეტყველი თავის შედევრებს, სადიდებლებს, რომელთაც ფსალმუნი დაერქვა, ღამით წერდა. გაზაფხულზე ჭაობები იყო მეფის სასახლესთან. ერთხელ უამრავი ბაყაყი ყიყინებდა. როგორც ჩანს ეს ხელს უშლიდა აზრების მოკრებაში და მსახურებს სთხოვა, ბაყაყები დაეხოცათ. ერთი-ორი დღე ბაყაყებს შეესივნენ და თუ სადმე ნახეს, ყველა მოსრეს. სასახლეში დაბრუნებული წმინდა მეფე თავის ოთახში შევიდა, იქ, სადაც, ლექსებს, პოემებს და ფსალმუნებს წერდა. პაპირუსის გრაგნილში ბაყაყი დახვდა. ბაყაყმა კაცის ენით უსაყვედურა, – რაისათვის დაგვხოცე, ჩვენ ჩვენებური ენით განვადიდებთ სამყაროს შემოქმედსო. ფსალმუნები ამ სიტყვებით მთავრდება: „ყოველი სული აქებდით უფალსა“. მართლაც, ყველა სულდგმული, ადამიანიდან დაწყებული თავისი საქმიანობით განადიდებს უფალს, რამეთუ ყველაფერს თან ახლავს შემოქმედის ძალა. ყველაფერი შემოქმედს განადიდებს – არა მარტო სულიერი არსებები, ანუ ფშვინვიერი, არამედ უტყვი არსებებიც. ვინაიდან ყველა კანონს თან სამი სადიდებელი დაურთო წმინდა ეკლესიამ, ეს იმის ნათელი დასტურია, რომ უფალს შვენის დიდება და უპირველეს ყოვლისა, მას უნდა ვადიდებდეთ. ადამიანი თუ გონივრულად ცხოვრობს უფლის კანონების მიხედვით, მას არ გაუჭირდება ისე იცხოვროს, რომ უფალი განადიდოს და შესაბამისად ცხონდეს.

წმინდა მეფე და წინასწარმეტყველი დავითი ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს ხორციელი წინაპარი იყო. იგი იუდას ტომის ჩამომავლის, ბეთლემელი იესეს უმცროსი ძე იყო და ძმებს შორის გამოირჩეოდა არა იმდენად ფიზიკური ნიშნებით, რამდენადაც სულიერი და შინაგანი სამყაროთი. წმინდა წერილში დავითს პირველად ვხვდებით მაშინ, როდესაც წინასწარმეტყველი სამოელი უფლის მითითებით იესეს სახლში მივა, რათა მის ძეთაგან ერთ-ერთს სცხოს მირონი ისრაელის მეფედ. ამ პერიოდში ისრაელის მეფე გახლდათ საული, რომელსაც უღირსი მეფობის გამო წინასწარმეტყველმა სამუელმა უთხრა: „გამოგგლიჯა... უფალმა ისრაელის მეფობა და მისცა იგი შენს თვისტომს, შენზე უკეთესს“ (1მფ. XV.28). ღმერთმა საულს მეფობა იმიტომ ჩამოართვა, რომ ამ უკანასკნელმა უფლის წინასწარმეტყველის სიტყვები ყურად არ იღო და არ შეასრულა.

საულის წილ ღმერთი ირჩევს ჭაბუკ დავითს. წმინდა წერილიდან აშკარად ჩანს, როდესაც სამოელი მივა იესესთან, რათა მისი ერთ-ერთი ძე აკურთხოს, თავდაპირველად ჰგონია, რომ იესეს ყველაზე უფროსი ძე იქნება ღვთისაგან რჩეული, რადგან ის წარმოსადეგი და კარგი ფიზიკური მონაცემებისა გახლდათ. ამაზე უფალი თავის წინასწარმეტყველს მიუგებს: „ნუ უყურებ მის გარეგნობასა და ტანის სიმაღლეს, რადგან მე დავიწუნე იგი, რადგან ისე არ არის, როგორც კაცი ხედავს. რადგან კაცი მხოლოდ იმას ხედავს, რაც თვალში ხვდება, ხოლო უფალი გულს ხედავს“ (1მფ. XVI, 7). სამოელმა იესეს შვიდივე ვაჟზე შეაჩერა არჩევანი, მაგრამ უფლისათვის არც ერთი აღმოჩნდა მოსაწონი. იესე ვერაფერს მიხვდა მანამ, სანამ სამოელმა იქით არ ჰკითხა, კიდევ ხომ არ გყავს ვაჟიო. აი, ახლა ახსენდება იესეს, რომ ჰყავს კიდევ ერთი შვილი, დავითი, რომელიც ცხვარშია გაგზავნილი და მწყემსურადვე ცხოვრობს. ახლავე მოაყვანინე, – უთხრა სამოელმა. შესდგა თუ არა დავითმა ფეხი სახლში, უფალმა უთხრა სამოელს: სცხე მას მირონი, ეს იქნება მეფე. სამოელმა იხმო დავითი და თავზე დაასხა მირონი. მაშინვე სული წმინდა დაადგა მას და ამ დროიდან იმყოფებოდა დავითთან, რომლის გამბედაობაზე და მედგარ ხასიათზე ისიც მეტყველებს, რომ მას მარტოდმარტოს მოუკლავს ისეთი დიდი ნადირები, როგორიცაა დათვი და ლომი. წმინდა დავითი იყო „კაცი გულისხმისმყოფელი, მხნე ბრძოლასა, სრულ ძალითა და ბრძენ სიტყვითა და კეთილ საქმითა“.

გარეგნულად მშვენიერი დავითი სულითაც მშვენიერი იყო: მომთმენი, თავმდაბალი, უწყინარი, სიკეთის მოსურნე და მოძულე ბოროტისა, მაგრამ განსაკუთრებით ერთგული იყო ლოცვისა. ვედრება ღმრთისა ყველაზე საყვარელი და სასიხარულო საქმე იყო დავითისათვის. ღმერთმა ამიტომ განსაკუთრებით შეიყვარა იგი. მწყემსობის დროს დავითმა მოიგონა შვიდსიმიანი საკრავის, ქნარის გაკეთება, ღვთის შთაგონებით თხზავდა უფლის სადიდებელს და ქნარზე გალობდა.

ფილისტიმელთა თავდასხმის დროსაც დავითი არ შეუშინდა ფილისტიმელი მეომრების ფიზიკურ ძალასა და გოლიათურ აღნაგობას. კბილებამდე შეიარაღებული მტრის წინააღმდეგ იგი შურდულით გადის ბრძოლის ველზე და ღმერთზე მინდობილი სასტიკად ამარცხებს აბჯარასხმულ გოლიათს, რამაც ბრძოლის ბედი ისრაელელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა. ამის შემდეგ ხალხმა ძალიან შეიყვარა ჭაბუკი.

დავითი მთელ ისრაელში 30 წლით გამეფდა. როდესაც თავისი ქვეყნის დედაქალაქად იერუსალიმი აქცია, აქ უფლის კიდობანი შეაბრძანა.

ღმერთმა დავით მეფეს ყოფლითურთ ხელი მოუმართა. მისი ყველა ბრძოლა გარეშე მტრების წინააღმდეგ გამარჯვებით სრულდებოდა.

ისრაელში მონარქიის არსებობისას ღვთისადმი მსახურების სამ ძირითად – სამეფო, საწინასწარმეტყველო, და საღვთისმეტყველო საფეხურს ვხვდებით. დავითი იყო მეფეც და წინასწარმეტყველიც. ის მეფსალმუნეც გახლდათ, რომლის ავტორობით შედგენილი უბრწინვალესი ნაწარმოებები ღვთის სადიდებლად გამოიყენებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ დავითი ასე ახლოს იყო უფალთან, ვერც ის გაექცა ცოდვით დაცემას. მისი ღვთივსათნო ცხოვრებაც დააბნელა მძიმე შეცოდებამ. ეს მოხდა მისი მმართველობის ზენიტში, როდესაც ის 45 წლისა იყო. დავითმა ამ დროისათვის მრავალი ბრძოლა გადაიხადა და ყოველი მათგანი წარმატებითა და გამარჯვებით დაასრულა. ერთხელაც მან იხილა ქმნულკეთილი ბერსაბე, ძლიერ მოეწონა და დაწვა მასთან. ბერსაბე ურია ქეტელის ცოლი გახლდათ. ამ დროს ისრაელი ამონიტელებს ებრძოდა და ბერსაბეს ქმარი ომში იყო წასული. დავითმა თავის მხედართმთავარ იოაბს მისწერა, ბერსაბეს ქმარი გამოეშვა შინ, რათა მისი დაბრუნებით დავითის ცოდვა დაფარულიყო, თუმცა ურია ქეტელმა არ იკადრა შინ, ცოლთან დაბრუნება იმ დროს, როცა მისი ბატონი და მეგობრები ომში იყვნენ. ამის გამო დავითი იოაბს უბრძანებს, ურია ქეტელი დააყენოს იმ ადგილას, სადაც ფიცხელი ბრძოლა უნდა გაიმართოს, რათა მოკლან ის. მართლაც ურია ბრძოლაში მოკვდება, ხოლო დავითი ბერსაბეზე იქორწინებს. მეფის სამხილებლად ღმერთმა წინასწარმეტყველი ნათანი მოავლინა. ნათანის მხილებამ დავითი განრისხების ნაცვლად სინანულში ჩააგდო. სწორედ ამ სინანულის გამოძახილია ცნობილი 50-ე ფსალმუნი („მიწყალე მე ღმერთო...“), რომელსაც მონანული წმინდანის უმშვენიერესი საგალობელი შეგვიძლია ვუწოდოთ. დავითის 50-ე ფსალმუნი ღვთის სიყვარულის, რწმენისა და სასოების ლოცვაა, რომლითაც ყოველი იმ დაბრკოლების გადალახვაა შესაძლებელი, რომელიც შეიძლება უფლისკენ სავალ გზაზე დაგიგოს ადამის მოდგმის მტერმა.

დავით მეფემ 40 წელი იმეფა, ტახტი თავის ძეს, სოლომონს უანდერძა და მშვიდობით მიიცვალა. კეთილმსახური და მართალი ცხოვრების, სიმდაბლის, მოთმინებისა და ურყევი სასოებისთვის წმიდანმა ისეთი სიყვარული და მოწყალება დაიმსახურა უფლისაგან, რომ მან აბრაამისთვის მიცემული ყველა სიტყვა დაუმტკიცა ნეტარს, საყდრის ურყევობა, კურთხევა, თესლის გამრავლება აღუთქვა და ამცნო, რომ მისი შტოდან აღმოცენდებოდა მხსნელი სოფლისა.

წმინდა წინასწარმეტყველმა დავითმა დაგვიტოვა 150 ღვთივსულიერი ფსალმუნი. „დავითნი“ არა მარტო ქრისტიანის პირად ლოცვებში, არამედ საზოგადო ღვთისმსახურების დროსაც გამოიყენება. ისინი წმინდა დავითის სიცოცხლეშივე იკითხებოდა ძველი აღთქმის ტაძრებში, მერე კი პირველი საუკუნეების ქრისტიანულ ეკლესიებში. მსახურების ძირითად ნაწილს მათი გალობა შეადგენდა. IV საუკუნეში 150 ფსალმუნი 20 კანონად დაიყო, რომლებიც თავის მხრივ, სამ დიდებას ქმნის. მათი კითხვა შეიძლება ნებისმიერი მიზეზით – მიცვალებულთათვის, სნეულთათვის, ჯანმრთელობისათვის, მშვიდობისთვის (შესაბამის ლოცვებთან ერთად). ბაგრატიონთა საგვარეულო გერბს „კვართიან-დავითიანნი“ ეწოდება. კვართი უფლისა, რომელიც სვეტიცხოველშია დავანებული, სიმბოლოა ქრისტეს ეკლესიის ერთიანობისა, ხოლო დავითის ქნარი და შურდული ბაგრატიონთა სახელოვანი წინაპრის, ბიბლიური დავითის ფსალმუნთგალობასა და გოლიათის დამარცხებას მოგვაგონებს. ღმერთის საიდუმლო განგებულებით დავითის შთამომავლები, რომლებიც ამავე დროს ღმრთისმშობლის ხორციელი ნათესავები იყვნენ, საქართველოში დამკვიდრდნენ და ქვეყნის ხელმწიფებაც მათ ჩაბარდათ. ალბათ ამაშიც გამოვლინდა საქართველოს წილხვდომილობა ღმრთისმშობლისადმი, რადგან დავითის შტოდან გამოვიდა მაცხოვარი ჩვენი უფალი იესო ქრისტე და დავითის შტოდან მიეცათ ქართველებს ხელმწიფე.

* * *

**ვაჟა: „მჟამს, მუდამ მიჟამებია მუდმივ სიცოცხლე სულისა“**

**გოეთე: „სულთა სამეფო არ არის კარდახშული!..“**

# სული აგრძელებს სიცოცხლეს იმქვეყნად

**გასული** საუკუნის 90-იან წლებში მართლმადიდებლური ეკლესიების კარების გაღებამ, სასულიერო ლიტერატურის მოზღვავებამ, წმინდა მამათა და წმინდა დედათა ცხოვრების მონათხრობმა ღრმად ჩაგვაფიქრა სამყაროს შემოქმედის მიერ დაწესებულ კანონზომიერებაზე, სიცოცხლესა და სიკვდილზე, ბნელსა თუ ნათელზე, სიკეთესა თუ ბოროტებაზე. განსაკუთრებით კი სააქაო და საიქიო ცხოვრებაზე, იმ მინიშნებებზე, რომლებსაც ადამიანები სიზმარსა თუ ცხადში ნახულობენ.

„კლინიკური სიკვდილი“ – როგორც ასეთი – ტერმინი საბჭოთა სამედიცინო ტერმინოლოგიაში არსებობდა, მაგრამ ტაბუდადებული. პაციენტი, რომელიც „კლინიკური სიკვდილის“ დროს „ნახულობდა“ რაღაც კადრებს, მოვლენებს, ხშირად მდუმარებას ამჯობინებდა, რადგან მდუმარებას თავად მკურნალი ექიმები ურჩევდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთ პაციენტს ფსიქიატრთან ვიზიტს „დაუნიშნავდნენ“, თუმცა ბევრი ექიმი პაციენტის ნაამბობს იჯერებდა იმ მოტივით, რომ ასეთი რამ ადამიანებს მართლაც ჰქონდათ.

1991 წელს ქართულ ენაზე გამოსულმა ამერიკელი ექიმისა და ფილოსოფოსის რაიმონდ მოუდის წიგნმა „ცხოვრება გარდაცვალების შემდეგ“ ბევრს გაახსენა კლინიკურ სიკვდილგადატანილი ადამიანების მონათხრობი და სულ სხვა თვალით შეხედა ამ მონათხრობს. სად გადის ზღვარი სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის? რა არის სიკვდილი? სად მიდის ადამიანის სული გარდაცვალების შემდეგ? – ეს კითხვები ადამიანს გარემოს გაცნობის, 5 წლის ასაკის შესრულების შემდეგ არ ასვენებს. პასუხი მართლმადიდებლურ ეკლესიას აქვს და საკმაოდ ამომწურავადაც, მაგრამ ჩვენ უფრო მეტის შეცნობა, თვითმხილველის ნაამბობის გაგონება და მოსმენა გვინდა.

როცა შეუცნობელზე საუბარს ვიწყებთ, ვიშველიებთ სადღაც მოსმენილს, გაგონილს, წაკითხულს. და აი, ახლა ერთ ასეთ დაუჯერებელ ამბავს მოგიყვებათ ჩემი რესპოდენტი, რომელიც თითქმის 40 წლის წინ თავს გადახდენილს იხსენებს:

„– გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ვირუსული გრიპი საკმაოდ ცივ და თოვლიან ზამთარში გადავიტანე – სიცხეებით, საშინელი ჩამონადენით ცხვირიდან, რომელმაც თვეები გამტანჯა. მკურნალობის მიუხედავად, საშინელი თავის ტკივილები დამჩემდა, რომელიც ცხვირიდან ჩამონადენის შეწყვეტის შემდეგ უფრო გართულდა. სამი თვე ტკივილები მტანჯავდა და მაისის პირველ რიცხვებში თბილისის №1 კლინიკური საავადმყოფოს ნევროლოგიურ განყოფილებაში მომათავსეს. ნელ-ნელა დამაკლდა მხედველობა, თავის ტკივილმა იმდენად იმატა, მოძრაობაც მეზარებოდა. ყოველ დილას აკადემიკოსი სარაჯიშვილი ექიმთა ჯგუფთან ერთად შემოვლაზე დიდხანს ჩერდებოდა ჩემს პალატაში, ეწყობოდა გაუთავებელი კონსულიუმები. ასე გაგრძელდა 60 დღე – უდიაგნოზოდ, საშინელი ტკივილებითა და მკურნალობა – მხოლოდ და მხოლოდ გამაყუჩებლებით.

წინა დღეებში 15 წლის გავხდი. 17 ივნისს კი სასტიკი დიაგნოზით – „თავის ტვინში სიმსივნით“ საპროცედურო ოთახში შემიყვანეს და სიმსივნის ადგილმდებარეობის დასადგენად ხერხემლის ერთ-ერთი მალიდან ჟანგბადის შეყვანა დაიწყეს. პროცედურისას ე.წ. პიანინოს სკამზე (სკამი, რომელიც წრიულად მოძრაობს) ვიჯექი. ნემსის ჩხვლეტა თითქმის არც მიგრძვნია, მაგრამ თავის არეში (რომლის ქვეშაც ამომაწყობინეს ხელები პროცედურის დაწყებამდე) ისეთი ტკივილი ვიგრძენი, რომლის გახსენება ახლაც მზარავს. ტკივილებმა იმატა და უცბად ჩამობნელდა, საშინელი სისწრაფით, ზარების ხმამაღალი რეკვით, ჩემი სკამი თითქოს მეოთხე სართულიდან (სადაც ეს ოთახი მდებარეობდა) ზრიალ-ზრიალით ქვესკნელში ინთქებოდა. და ასე შიშით, სასოწარკვეთით ზარების რეკვის ხმა სადღაც გაურკვევლობაში მიმაქანებდა. უცბად, თითქოს ყველაფერი ჩაწყნარდა, უწონობის შეგრძნება დამეუფლა და დიდ, განიერ, საკანალიზაციო მილის მსგავს გვირაბში მხოლოდ ნეონის მკრთალი ნათება სადღაც მიმალივლივებდა, რომელსაც დასასრული არ უჩანდა. ერთიორგან მოძრავი ადამიანების მხოლოდ სილუეტები შევნიშნე, ოღონდ ჩუმი, უბრად რომ ლივლივებდნენ ისინიც და არა, ვთქვათ, მოძრაობდნენ ფიზიკურად, არ მიდი-მოდიოდნენ. როგორც იქნა, თითქოს ამოვისუნთქე, გვირაბის ბოლოს კაშკაშა „დღესავით“ სინათლის რაღაც შუქი გამოჩნდა და მეც უცნაურ სამყაროში აღმოვჩნდი – ულამაზესი ხეები, არც კვიპაროსები, არც ფოთლოვანი, არამიწიერი სილამაზის ყვავილებით იყო მოჩითული იქაურობა. აბრეშუმივით ხასხასა მწვანე ბალახი ლივლივებდა, ხეების ტოტებში იადონებივით ფერად-ფერადი ჩიტები გალობდნენ, მაგრამ უფრო სხვანაირი, ყურისათვის მანამდე და დღემდეც გაუგონარი მუსიკა ისმოდა, პატარა ნაკადული ჩამოდიოდა იქვე. ისეთი შეგრძნება დამეუფლა და ახლაც მახსენდება, თითქოს ის ბალახიც მღეროდა, ხეებიც, ყვავილებიც, მაგრამ ეს ყველაფერი უფრო გალობას ჰგავდა, ვიდრე სიმღერას. ხალხი ერთ მწკრივად რიგში ჩამდგარიყო, ჩემნაირი, ჩვეულებრივი ადამიანები. რაღაცას ელოდებოდნენ, მორჩილები და სახენაღვლიანები. მეც მათ რიგს „შევუერთდი“ და ახლა შევნიშნე, მაგიდასთან თეთრ, გამჭვირვალე მაგიდასთან თეთრწვერიანი, თეთრ სამოსში ჩაცმული მოხუცი იჯდა, წინ დიდი, სიგანეში მოგრძო ჟურნალი ორად გადაეშალა. აქეთ-იქიდანაც თავისივე მსგავსი მოხუცები, თეთრ პერანგებში (კვართებში და არა პერანგებში, როგორც შემდეგ, წლების შემდეგ გავაცნობიერე) გამოწყობილები ედგნენ. მათ ხელში პატარა, ვერხვის ხის ტოტებისმაგვარი ეჭირათ. ყველას ისე უღიმოდნენ, თითქოს სისხლით ნათესავები იყვნენ ან დიდი ხნის ნაცნობობა ჰქონდათ. ისე გავერთე გარემოს თვალიერებით, ვერც კი შევნიშნე, როგორ მომიწია რიგმა. გვარი, სახელი, დაბადების წელი თითქოს უსიტყვოდ მკითხეს, მეც ვუპასუხე. ჩაიხედა მოხუცმა ჟურნალში და ღიმილიანი სახით, შემდეგ კი ცოტა სიმკაცრეც შეურია – შენ არ უნდა მოსულიყავი ახლა, ჩვენ კ-შვილ მაროს, 62 წლისას ველოდებოდით. ახლა წადი, – მითხრა და გვერდით მდგომს ჩემზე რაღაც მიანიშნა. ნამდვილად არ მინდოდა იქიდან წამოსვლა, მაგრამ კატეგორიული მოძრაობებით თეთრპერანგიანმა და თეთრწვერიანმა მოხუცმა იმ გვირაბთან თითქმის მუქარანარევი, მაგრამ თბილი სახით მიმიყვანა, საიდანაც ის-ის იყო მოვედი. მახსოვს უკან დაბრუნებისას, ნაცრისფერსახიანი, უღიმილო, უსიხარულო სახეებით მხვდებოდნენ „უწონო“ ადამიანები. როგორ აღმოვჩნდი იმ ოთახის კუთხეში, ჭერში, სადაც მე რენტგენის მაგიდაზე უსიცოცხლოდ, ყველასგან მიტოვებული ვიწექი, არ მახსოვს. ჭერიდან, რომელიც იატაკიდან ალბათ 3,5-4 მეტრზე იმყოფებოდა, შეშინებული დავყურებდი ჩემს სხეულს და მკაფიოდ მესმოდა, როგორ ქვითინებდნენ ექთნები, ჩემი მკურნალი ექიმი ხელებში თავჩარგული იჯდა, როგორ ფეხაკრეფით შემოდიოდნენ ნევროპათოლოგები, თავს უმწეოდ იქნევდნენ, ჩემს ექიმს გასამხნევებლად მხრებზე ხელს ადებდნენ, როგორ ვიშვიშებდა ყველა, ვენანებოდი 15 წლის გოგონა, რომელსაც გრძელი ნაწნავები იმიტომ არ შეაჭრეს, რომ დაენანათ და თავის ქალის ტრაპანაციაზე ამის გამოც არ წავიდნენ. მაღლიდან ვეძახდი მათ და ბიძაჩემსაც, რომელსაც პირველს გაუმხილეს ჩემი გარდაცვალების ამბავი და ახლა ექთანი ნემსს უკეთებდა „მოსაბრუნებლად“, მინდოდა გამემხნევებინა და ვეუბნებოდი, რომ არ მოვმკვდარვარ, ცოცხალი ვარ, მაგრამ, როგორც ჩანს, ხმას ვერ ვაწვდენდი, რაც მეც უნუგეშო მდგომარეობაში მაყენებდა. იმავე კუთხესთან ფანჯარა იყო, რომელშიც კვიპაროსის ტოტები იყურებოდნენ. ტოტებში ბეღურები რაღაც საქმეებს „არჩევდნენ“, ჟივჟივებდნენ და ჰქონდათ ერთი გნიასი. ჩემი ყურადღება ერთმა ბეღურამ მიიპყრო, რომელიც თვალებგაფაციცებული უყურებდა ჩემს უსულოდ დასვენებულ სხეულს და უცბად ჩიტებს მიუბრუნდათ და მკაცრად უთხრათ: გაჩერდით, ხედავთ ეს გოგონა ყველას მკვდარი ჰგონია, მაგრამ არ მომკვდარა, ტყუილად დარდობენო და კუთხის ჭერში შეყუჟულს, ისედაც შეშინებულს, თითქოს ადამიანის თვალებით შემოხედა... რა იყო ეს, ვერ გეტყვით, მაგრამ მახსოვს და დღემდე არ მავიწყდება, როგორ სტკიოდა ჩემს სხეულს სადღაც გულთან, არა, უფრო სწორედ გულთან და გულის მარჯვენა მხარეს, რა ტკივილით, ტანჯვით „ჩადიოდა“ რენტგენის მაგიდაზე დასვენებულ ჩემს სხეულში ჩემი საიქიოში „ნახეტიალები“ სული. მერე და მერე მახსენდებოდა და დღესაც მახსენდება, როგორ არ უნდოდა სულს იმ სამყაროში სხეულიანად დაბრუნება, სადაც არც ისეთი სიმშვიდე, არც სილამაზე, არც ნეტარების მსგავსი განცდა იყო, როგორც იქ, იმ თეთრპერანგა (ხიფთანიან) მოხუცებთან. არ დაგიმალავთ და გეტყვით, დღესაც იმ ტკივილით მტკივა გულთან, როცა არაადამიანური მოპყრობით, არაადამიანური ქცევით ვინმე მაწყენინებს, ან რამეზე გული დამწყდება, მაგრამ, მადლობა უფალს, ეს იშვიათად ხდება, რადგან მე თავადაც ჩემი ცხოვრების გასალამაზებლად, ადამიანებში ყოველთვის დადებითს ვეძებ, დადებითს ვხედავ და მიადვილებს სიცოცხლესაც და ცხოვრებასაც... , გამოგიტყდებით, თითქმის ყოველდღიურად მახსენდება, რომ სიცოცხლე წარმავალია, თუმცა, სული უკვდავია, სული აგრძელებს ცხოვრებას იმ ქვეყნად და ეს განწყობა და რწმენა მიადვილებს იმ სიშორეს, ტკივილს, რაც ჩემთვის ჩემი საყვარელი ადამიანების იმქვეყნად გარდაცვალებას მოჰყვა...

დიაგნოზი არც თუ ისე მძიმე იყო – ჰაიმორიტი, რომლისგანაც ბევრისთვის ნაცნობმა გურჯაანელმა „ზოიამ“ განმკურნა.

და რაც მთავარია, პროცედურის მეორე დილას საგარეჯოდან ჩამოსული მამაჩემი ძალიან ჩქარობდა, ჩემს მეწყვილეს (მძღოლს)გუშინ საღამოს დედა გარდაეცვალა და დახმარება მთხოვაო. მე უცბათ დავუსახელე გვარი, სახელი, ასაკი (როგორც საიქიოს ჟურნალიდან ამოიკითხეს და მეც თვალით ვნახე) მამაჩემის კითხვაზე საიდან ვიცოდი, – ყველასთვის დაუჯერებელი ამბავი მოვუყევი...

# სპორტი

## ძიუ-დო

## ქალთა ძიუდო
## რვა წონიდან ექვსი ფინალი და ორი ჩემპიონი

**10-12 ოქტომბერს** თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა ძიუდოში 2000-2001 წელს დაბადებულ გოგონათა შორის. ტურნირში ქვეყნის სხვა ძიუდოისტებთან ერთად თავიანთ ძალებს სცდიდნენ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების" მწვრთნელ ლუდმილა ფერაძის აღსაზრდელებიც, რომელთაც თავიანთი წარმატებებით არაერთხელ გაუხარებიათ საგარეჯოელი გულშემატკივრები. ფერაძის აღსაზრდელებმა არც ამ ტურნირზე უღალატეს ტრადიციას და თვალსაჩინო წარმატებებით დაგვიბრუნდნენ საგარეჯოში. ათი წონითი კატეგორიიდან მათ მონაწილეობა მიიღეს რვა წონაში გამართულ ასპარეზობაში და აქედან ექვსი ფინალი იჭიდავეს. თავიანთ წონით კატეგორიაში უძლიერესები იყვნენ და ჩემპიონები გახდნენ: თინანო რევაზიშვილი და სალომე ბლიაძე. მეორე საპრიზო ადგილებისა და ვერცხლის მედლების მფლობელები გახდნენ ხატია მინდიაშვილი, მარიამ ლაფაჩიშვილი, სალომე გულისაშვილი, ხათუნა თვაური. მარიამ კოხტაშვილი და ანა ასანიშვილი კი ბრინჯაოს პრიზიორები გახდნენ.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ასპარეზობაში ჩვენს გოგონებს თავისზე ორი წლით უფროსებთან მოუწიათ ჭიდაობა და ასეთი შედეგი აჩვენეს. მათ თავიანთი ჭიდაობით მოხიბლეს და ამასთან საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის დავით ქევხიშვილისა და საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის თამაზ კარიაულის დიდი მოწონება დაიმსახურეს. **ამ შედეგით საგარეჯოელი ძიუდოისტი გოგონები საქართველოს ნაკრებში აიყვანეს.**

## ძიუ-დო

## ნატალია ყიფშიძემ თავისი შესაძლებლობები ერევანშიც დაამტკიცა

**ოქტომბრის** დასაწყისში სომხეთის დედაქალაქში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში 1997-1998-1999 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის. ასპარეზობაში საგარეჯოდან ორი ძიუდოისტი: ელდარ ჯიქიძე და ნატალია ყიფშიძე იღებდნენ მონაწილეობას. სამწუხაროდ, ორი მოგების შემდეგ მიღებული ტრავმის გამო ელდარ ჯიქიძე შეჯიბრებას გამოეთიშა და მაყურებლის სკამიდან მოუწია ტურნირისათვის თვალის დევნება.

სამაგიეროდ, ტურნირზე წარმატებით იასპარეზა ნატალია ყიფშიძემ. სულ ახლახან გადატანილი ტრავმის მიუხედავად გამართული ოთხი შეხვედრიდან მან ყველა გამარჯვებით დაასრულა და გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ასულმა ერევანში საქართველოს ჰიმნი ააჟღერა.

როგორც ადრეც ვიუწყებოდით, თავისი შედეგებით ნატალია დაყენებულია საქართველოს ოლიმპიურ ნაკრებში და მონაწილეობას მიიღებს თბილისის 2015 წლის ოლიმპიურ თამაშებში.

რაც შეეხება ლუდმილა ფერაძის ამ ნიჭიერი აღსაზრდელის უახლოეს გეგმებს – იგი მონაწილეობას მიიღებს მოსკოვში პრეზიდენტის პრესტიჟული თასის გათამაშებაში. წარმატებები ვუსურვოთ ნატალიას ამ ასპარეზობაშიც.

*გ. დაბახიშვილი*

## გიგლა ბუზარიაშვილის ხსოვნის ტურნირი საგარეჯოში

**17-19 ოქტომბერს** საგარეჯოს არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტკომპლექსის საჭიდაო არენაზე ჩატარდა ახალგაზრდა მოჭიდავის, ჭაბუკთა შორის საქართველოს ჩემპიონის გიგლა ბუზარიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. ასპარეზობა ორ ასაკობრივ ჯგუფში 2001-2003 წწ და 1999-2000 წლებში დაბადებულ მოჭიდავეებს შორის ჩატარდა და მასში კახეთის რეგიონის ფალავნებთან ერთად დედაქალაქის სხვადასხვა სპორტული საზოგადოებების მოჭიდავეებიც იღებდნენ მონაწილეობას.

ორდღიანი ასპარეზობის I დღეს 2001-2003 წლიანთა შეჯიბრებებში პირველ – 23 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა საგარეჯოელი შალვა გულისაშვილი. ამავე წონაში მეორე ადგილზე გავიდა მისივე თანაგუნდელი თორნიკე ასაბაშვილი. გიგი ქურხული უძლიერესი აღმოჩნდა 32 კგ წონით კატეგორიაში. ამავე წონაში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა გიგა დოლენჯაშვილმა.

ტურნირის ჩემპიონი საგარეჯოელთაგან გახდა 42 კგ წონით კატეგორიაში მოასპარეზე ფირუზ ქვლივიძე. 47 კგ წონით კატეგორიაში ვერცხლის სინჯის მედალი დაისაკუთრა ბაჩო ქვლივიძემ. ასეთივე შედეგით დატოვა საჭიდაო ხალიჩა თორნიკე თულაშვილმა (35 კგ წონით კატეგორია).

შედარებით ნაკლებშედეგიანი აღმოჩნდა „მასპინძლებისათვის" ტურნირის მეორე დღე. 1999-2000 წლიანთა შეჯიბრში საგარეჯოელთაგან ჩემპიონი აღარ გამოვლენილა და მხოლოდ სამი II ადგილი ხვდათ წილად. ამ საპრიზო ადგილებიდან ვერცხლის მედლის მფლობელები გახდნენ: ნიკა მესროფოვი (54კგ), გიორგი ბურჯანაძე (58კგ) და დავით მარტაშვილი (634კგ).

ტურნირზე დაწესებული იყო გიგლა ბუზარიაშვილის სახელობის პრიზი, რომელიც გადაეცა 32 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებულ გიგი ქურხულს.

## ონში დავით გობეჯიშვილის საერთაშორისო ტურნირზე

17-19 ოქტომბერს ქალაქ ონში ჩატარდა ონელი ფალავნის, მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის დავით გობეჯიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში. ამ ასპარეზობაში მონაწილეობას იღებდნენ საგარეჯოს აიპ „სპორტგაერთიანების" ფალავნებიც, რომელთაც შეძლეს ორი III საპრიზო ადგილის დაკავება. კერძოდ, ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს გიორგი პასიკაშვილმა (60კგ) და მიხეილ მამუკაშვილმა (66კგ).

## სოსო არავიაშვილი (ვატას ბიჭი) გასახსენებლად



**საგარეჯოს** სპორტულ საზოგადოებაში კარგ ტრადიციადაა ქცეული იმ სპორტსმენის გახსენება, რომელთაც გარკვეული როლი ითამაშეს და თავიანთი კვალი დაამჩნიეს გარეჯული სპორტის ისტორიას. მათი ხსოვნის აღსანიშნავად ტარდება სხვადასხვა შეჯიბრებები. ერთ-ერთი ასეთი პიროვნება, ვინც სპორტსმენებისგან პატივისცემა დაიმსახურა გასული საუკუნის 80-იან წლებში „გარეჯის" ფეხბურთელი სოსო არავიაშვილია, რომელიც სპორტულ წრეებში უფრო მეტად „ვატას ბიჭის" სახელით იყო ცნობილი. საგარეჯოს სტადიონზე ფეხადგმულმა ფეხბურთელმა პირველად თამაში საგარეჯოს „გარეჯში" დაიწყო, შემდეგ თბილისის გლდანის სპორტსკოლაში გადავიდა, საიდანაც ისევ მშობლიურ „გარეჯს" დაუბრუნდა. თამაშობდა დაცვაში, თავდასხმაში. მის თანამედროვე და თანაგუნდელ მოთამაშეებს თავი დაამახსოვრა, როგორც ერთგულმა, უღალატო სპორტსმენმა და მეგობარმა და საპასუხო სიყვარულსაც იმკიდა. სწორედ ამ სიყვარულის გამოხატულება იყო ის ტურნირი, რომელიც ყოფილმა თანაგუნდელებმა და ვეტერანმა ფეხბურთელებმა გოგა მაისურაძემ, მერაბ ქურდიანმა, გია ილაურმა, რეზო ხებრელაშვილმა და სხვებმა გასულ წელს გარდაცვლილი მეგობრის ხსოვნის უკვდავსაყოფად ამასწინათ საგარეჯოს სტადიონზე მოაწყვეს. როგორც ყოველთვის, ტურნირის ორგანიზატორებს ამჯერადაც გვერდით ამოუდგა და დახმარება გაუწია აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანებამ" მისი თავკაცის გია მაისურაძის ხელმძღვანელობით, რომელმაც დააწესა უდროოდ გარდაცვლილი ფეხბურთელის სახელობის თასი და სიგელები. სოსო არავიაშვილის ხსოვნის ტურნირს საგარეჯოელ სპორტსმენებთან, მეგობრებთან და აღნიშნული სპორტსაზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ გარდაცვლილის მეუღლე, ქალიშვილი ნინო, იმ ნავთობკომპანიის წარმომადგენლები, სადაც სოსო ბოლო დროს მუშაობდა.

ტურნირის დასასრულს გარდაცვლილი ფეხბურთელის ქალიშვილმა სოსო არავიაშვილის სახელობის თასი გადასცა ამხანაგურ მატჩში გამარჯვებულ გუნდს. შესაბამისი სიგელები გადაეცა ამ შეხვედრის ყველა მონაწილეს. ამის შემდეგ ტურნირის მონაწილეებმა და სტუმრებმა ფეხბურთელის საფლავზე გადაინაცვლეს, სადაც კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი მის ხსოვნას. გადაწყდა, რომ სოსო არავიაშვილის თასი მის ოჯახში დარჩება და მისი ხსოვნის ტურნირი ყოველწლიურად გაიმართება.

*გივი დაბახიშვილი*

## ბუხუტი გურგენიძის მემორიალზე „თვალმა" გუნდური პირველობა იზეიმა



მწვრთნელი ელენე ფარეშიშვილი გუნდ „თვალის" წევრებთან ერთად

**5-11 ოქტომბერს** თბილისის ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა ბუხუტი გურგენიძის მემორიალი – საქართველოს გუნდური პირველობა 8, 10 და 12 წლამდელ მოჭადრაკეთა შორის. ტურნირში საქართველოს სხვა მოჭადრაკეებთან ერთად მონაწილეობდნენ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების" მწვრთნელების ელენე ფარეშიშვილისა და ნანი უნაფქოშვილის აღსაზრდელები. მათგან წარმატებით იასპარეზა და მემორიალის ჩემპიონი გახდა 10 წლიანთა ასაკობრივ ჯგუფში მონაწილე პატარა საგარეჯოელი მოჭადრაკეების გუნდი „თვალი", რომლის ღირსებას მემორიალზე იცავდნენ: ლუკა გურჯიძე, ლევან დალბაშვილი, ეთერ ხებრელაშვილი და გიგი ივანელაშვილი. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გარდა ერთისა, ყველა შეხვედრა მოიგეს და მხოლოდ გურგენიძის NTV-თან დაამთავრეს ფრე 2:2-ზე.

გამარჯვებამდე სულ ცოტა დააკლდა 8 წლამდელ საგარეჯოელ მოჭადრაკე გუნდის წევრებს ნინი ესაიაშვილს, გიგი ივანელაშვილს, ლუკა ივანელაშვილს, ლუკა ტიგინაშვილს. ამ პატარებმა შემართებით იბრძოლეს საჭადრაკო დაფებზე, მაგრამ დამარცხდნენ გოგი მაჭარაშვილის გუნდთან „აისი" და საბოლოოდ IV ადგილზე გავიდნენ.

*გ. დაბახიშვილი*

## რაგბის ეროვნული ნაკრების წევრები საგარეჯოში



**ამ** თვის დასაწყისში საგარეჯოელები კიდევ ერთი ახალი სპორტული ასპარეზობის მოწმენი გახდნენ – 1 ოქტომბერს საგარეჯოს ფეხბურთის სტადიონზე პატარძეულის რაგბის კლუბ „ვეფხვების" მოთამაშეებთან გამოცდილების გაზიარებისა და ერთობლივი წვრთნის ჩასატარებლად ჩამოვიდნენ საქართველოს რაგბის ეროვნული ნაკრების რაგბისტები, მათი ახალზელანდიელი მთავარი მწვრთნელის მილტონ ჰეიგის და მისი ქართველი კოლეგა ილია მაისურაძის თავკაცობით. ნაკრების 17 კაციან შემადგენლობაში იმყოფებოდნენ ქართული რაგბის ცნობილი სახეები: გივი ბერიშვილი, ბადრი ალხაზიშვილი, პატარძეულის რაგბის კლუბ „ვეფხვების" აღზრდილი, ევროპის ჩემპიონი მურაზ გიორგაძე და სხვები.

საგარეჯოში ჩამოსულ რაგბისტებს არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტულ კომპლექსთან გულთბილად დახვდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სპორტის მთავარი სპეციალისტი გია ხოსიტაშვილი, მუნიციპალიტეტის თანამშრომელი, წარსულში სახელგანთქმული პატარძეულელი ძიუდოისტი, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და პრიზიორი გივი ონაშვილი, აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების" დირექტორი გია მაისურაძე, გაერთიანების მთავარი სპეციალისტები ტარიელ როსტომაშვილი, თემურ კურდღელაშვილი, „ვეფხვების" მწვრთნელები ზვიად ცუხიშვილი, ზურა ამონაშვილი და მოთამაშეები.

ურთიერთმისალმებისა და გაცნობის შემდეგ სტუმარ-მასპინძლებმა ფეხბურთის მოედანზე სავარჯიშო მოედნების მოსაწყობად გადაინაცვლეს, რის შემდგომაც შეკრებილ რაგბისტებს სიტყვით მილტონ ჰეიგმა მიმართა. პირველ რიგში მან შეკრებილთ თავისი აღფრთოვანება გაუზიარა იმასთან დაკავშირებით, რომ თავის გარშემო იხილა ამდენი „ვეფხვების" ფორმაში გამოწყობილი რაგბისტი.

ამის შემდეგ ჰეიგმა რაგბისტებს გააცნო იმდღევანდელი ვარჯიშის ამოცანები და დეტალები. კერძოდ ის, რომ ეროვნული საათნახევრიანი წვრთნების დროს საქართველოს ეროვნული ნაკრების რაგბისტების „ვეფხვების" მოთამაშეებს შეასწავლიდნენ და დაეხმარებოდნენ იმ უნარებისა და ტექნიკური ილეთების დახვეწაში, რომელთა ცოდნა დიდად დაეხმარებათ მათ მომავალი წარმატებების მიღწევაში.

ხანმოკლე სიტყვის შემდეგ ორ ჯგუფად გადანაწილებული მორაგბეები მიჩენილ მოედნებზე ერთობლივ წვრთნებს შეუდგნენ, სადაც კიდევ ერთხელ გაიმეორეს და დახვეწეს თავიანთი ტექნიკა და უნარები.

ერთობლივი წვრთნების შემდეგ შევეცადეთ „ვეფხვების" მწვრთნელ ზვიად ცუხიშვილთან გაგვერკვია, თუ რამ განაპირობა პატარძეულელი რაგბისტების მიმართ საქართველოს რაგბის ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობის ასეთი ყურადღება და პატივი. როგორც მან ჩვენთან საუბარში განაცხადა – მათი კლუბის მოთამაშეები, რომლებიც გამოვიდნენ საქართველოს რაგბის გათამაშების პირველ ლიგაში მონაწილე 19 გუნდს შორის, გავიდნენ იმ 8 გუნდს შორის, რომლებმაც უფლება მოიპოვეს დარჩნენ და იასპარეზონ ამ ლიგაში. ამის შესაბამისად, საქართველოს რაგბის ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობამ გამოიჩინა კეთილი ნება და სურვილი „ვეფხვების" რაგბისტებისათვის თამაშის დონის ამაღლებასა და დაოსტატებაში აღნიშნული დახმარების გასაწევად. მილტონ ჰეიგის გუნდის აღნიშნული აქცია და მასტერკლასი პირველი პრეცენდენტია ქართული რაგბის ისტორიაში და სასიხარულოა, რომ ეს პირველად აქ, ჩვენს რეგიონში ტარდება, – აღნიშნა მან. ზვიად ცუხიშვილის განცხადებით, ეს არ იქნება ერთჯერადი ღონისძიება და გარკვეული ინტერვალით მომავალში კვლავაც გაგრძელდება. ისე, რომ რაგბით დაინტერესებულ საგარეჯოელებს შემდეგშიც კვლავაც ექნებათ ამგვარი წვრთნების ხილვის შესაძლებლობა საგარეჯოში.

*გ. დაბახიშვილი*



# შესაცვლელი „სისტემა!“



**17 ოქტომბერს,** საგარეჯოს სახალკხო თეატრის თეატრალურმა დასმა ნიკა საბაშვილის რეჟისორობით ახალი სპექტაკლი შესთავაზა საგარეჯოს საზოგადოებას. პიესის ავტორიც თავად ნიკა საბაშვილია. მან ახალი ხედვით შეძლო მაყურებლამდე მიეტანა ის მანკიერი მხარეები, რაც ახლავს თანამედროვე პირობებში ზოგიერთ მოხუცებულთა თავშესაფარს. სპექტაკლის მოქმედება მოხუცთა თავშესაფარში მიმდინარეობს. მთავარი მოქმედი გმირებიც სწორედ ამ თავშესაფარში



მცხოვრები პენსიონერები არიან. ამ მოხუცებისთვის განსაკუთრებით ძნელია იმის აღქმა, რომ უკვე აღარ არიან ოჯახისა და საზოგადოებისათვის საჭირონი. ისინი ახლა მხოლოდ მოგონებებით ცხოვრობენ. ყოველ შემთხვევაში, თავშესაფარში მყოფი ადამიანები ასე თუ ისე შეგუებულები არიან არსებულ სიტუაციას, მაგრამ ისინი თავშესაფრის დირექტორის საქციელით უკმაყოფილოები არიან, მობინადრეები თავიანთ პოზიციებს არ თმობენ. პერსონაჟები მოგონებებით ცხოვრობენ, სევდიანი იუმორით გვიყვებიან თავიანთ მოძველებულ ფასეულობებს, რომელიც ახალი თაობისთვის გაუფასურდა. სისტემა, რომელიც დღესაც ტკივილს აყენებს უამრავ ადამიანს, მართლაც რომ შესაცვლელია.

სპექტაკლი ერთი კვირის განმავლობაში რამდენჯერმე იყო ნაჩვენები. მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს სპექტაკლში მონაწილეებმა: პაატა ქვლივიძემ, ნანული ბილანიშვილმა ნათელა დიღმელაშვილმა, თინა მეზვრიშვილმა, ფატი ღვინიაშვილმა, ბადრი დრეიძემ, მიშიკო ხოკერაშვილმა, ირაკლი ლიპარტელიანმა, მარინა შიოშვილმა, გია ესაიაშვილმა, დარე ლოლაძემ, ბესო ღვინაშვილმა, შაკო ივანიაშვილმა.

*ნინო გვაგვალია,*

***აიპ „საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანების“ პრესსამსახურის სპეციალისტი.***



**ოქტომბრის** ლამაზი დილა ვეღარ გაუთენდა პატარძეულის საჯარო სკოლის ხელოვნების მასწავლებელს **ნონა ელერდაშვილს**. ვეღარც ნანინანატრი შვილი ჩაიკრა მკერდში, რომელსაც წლები ელოდა. სხეულში, თავისი სამიოდე თვის ნაყოფი დედამ უმძიმესი ოპერაციიდან რამდენიმე დღეში იმქვეყნად წაიყვანა.

## საგარეჯოს მიხეილ ჭიაურელის სახელობის სახალხო თეატრის 140–ე სეზონზე

## გამოსათხოვარი
## ნონა ელერდაშვილი-კუჭუაშვილი

ჰოი, შენ შავო სიზმარო,
ბნელი ხევების ქადილო,
რა მალე აცხადებულხარ,
რომ მკერდზე სისხლი გვადინო.
მამის ხარივით ბღავილო,
დედის დამწვარო მანდილო,
ბედის უკუღმა ტრიალი
რამდენჯერ უნდა გვატი\რო?
ნანატრო ოქროს ვენახო,
სეტყვისგან გამეტებულო,
ღამევ, ვერ გათენებულო,
გსურს ჩვენს სულს ნაბდად ებურო.
ანგელოზოო მცინარო,
მკერდში მტრედჩახუტებულო,
ნანინავ, ვეღარ ნამღერო,
დარდების ზვავო მთებურო.
ჩვენო დაღლილო სხეულო,
ნუთუ სულს ვეღარ ერთგულობ.
ვახ, ჩემო პატარძეულო,
კვლავ მწარედ ატირებულო...

* * *

**ნ**უთუ წახვალ ქარიშხლებმა უნდა გაგაქანონ?
**ო**ხვრად იქცა შენი სუნთქვა
სიმღერების ქალო,
**ნ**ისლი გფარავს და მშველელნიც
უკვე აღარ ჩანან,
**ა**ნგელოზებმა უმღერონ შენს სულს „იავნანა“.

*რომან ზუკაკიშვილი*

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის საბჭოს სახელით რომან ზუკაკიშვილი და ბეჟან სურმანიძე გამოვხატავთ ღრმა გულისტკივილს პატარძეულის საჯარო სკოლის პედაგოგის

**ნონა ლადიკოს ასული ელერდაშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს

„გარეჯის მაცნეს“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ზურაბ ზირაქაშვილს მამის

**ქოროღლი ზირაქაშვილის**

გარდაცვალების გამო.

# ჩვენი სოფლის გამორჩეული ადამიანები
# საქართველოსა და მსოფლიოში ყველაზე კარგი მეფოლადე



**ნინოწმინდაში** ბევრი გამორჩეული ადამიანი ცხოვრობდა და ცხოვრობს, რომელთა ცხოვრება და საქმიანობა მუდამ საამაყოა ყველა თაობისათვის. ერთ-ერთი ასეთი პიროვნებაა უშანგი აბრამის ძე ივანიაშვილი, ყოფილი სკკპ და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი, საქართველოსა და იმდროინდელ საბჭოთა კავშირში ცნობილი და აღიარებული მეფოლადე.

1953 წლის 24 მაისს ნინოწმინდის რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ , მეფოლადის ხელობის შესასწავლად უშანგი რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში წაიყვანეს, 1957 წელს კი გაიწვიეს სამწლიან სამხედრო-სავალდებულო სამსახურში, რომელიც გაიარა უკრაინაში. მონაწილეობდა ქ. ლვოვის მიწისქვეშა და მიწისზედა გასაიდუმლოებულ მშენებლობებში, „Москва_400“ საიდუმლო ნაწილის შემადგენლობაში. 1960 წლიდან, მიიღო თუ არა დემობილიზაცია ჯარიდან, კვლავ მშობლიურ რუსთავის ქარხანას დაუბრუნდა „მარტენის“ საამქროში, სადაც პირველ ღუმელთან იდგა და ჩამოსულ ტურისტებს გიდობას უწევდა.

ამ 200 ტონიან ღუმელში, – იგონებს ახლა უშანგი, – 210 ტონა ფოლადს ვხარშავდით, რომელიც $1200^0C$ დნებოდა და $1400^0C$-მდე ვადუღებდით. გრაფიკით დნობა 8 საათში უნდა დაგვესრულებინა, მაგრამ ჩვენ ჩქაროსნული მეთოდით 7, ხან კი 6,5 საათში ვუშვებდით ნადნობს.

1960 წელს როგორც სამხედრო მშენებლობის ფრიადოსანი დაჯილდოვდა საპატიო მედლით, 1965 წელს კი აირჩიეს ქ. რუსთავის დეპუტატად. იმავე წელს იქორწინა გიორგიწმინდელი მეკოკიშვილების ქალზე, რომელთანაც შეეძინა ქალიშვილი მარინა და ვაჟიშვილი, რომელსაც გმირი წინაპრის პატივსაცემად ზაქარია დაარქვა.

1976 წელს უშანგი პირადად საქართველოს კპ ცკ I მდივნის ე. შევარდნაძის დავალებით 10 კაციანი ჯგუფით, 10 დღით გაემგზავრა ჩეხოსლოვაკიაში, ადგილობრივი მეფოლადეებისათვის გამოცდილების გასაზიარებლად.

გამორჩეული მეტალურგი და მეფოლადე არჩეული იყო სკკპ 26-ე ყრილობის დელეგატად, სადაც მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა და ლ.ი. ბრეჟნევმა შეაქეს და თქვეს – ბატონი უშანგი საქართველოში და მსოფლიოშიც ყველაზე საუკეთესო მეფოლადეაო.

მე ისე მიყვარდა ჩემი საქმე, რომ უქმე დღეებშიც ვმუშაობდიო, ამბობს ბ-ნი უშანგი.

1982 წელს სამუშაოს შესრულების დროს დაეჯახა ვაგონი (ურიკა) და მიიღო გავის ძვლის მოტეხილობა, რომლის მკურნალობა ჯერ რუსთავსა და თბილისში, მერე მოსკოვში დასჭირდა. 1986 წლიდან 50 წლის ასაკში პენსიაზეა. 1994 წელს რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში საპირველმაისო დემონსტრაციაზე ქარხნის დირექტორმა და მთავარმა ინჟინერმა გადასცეს სამახსოვრო საათი წარწერით „უშანგი ივანიაშვილი“.

1998 წლის მაისში ედუარდ შევარდნაძის დავალებით უშანგი ივანიაშვილი ახლა გერმანიაში მიავლინეს იქაური მეფოლადეებისათვის გამოცდილების გაზიარების მიზნით, რის დროსაც არ დასჭირებია თარჯიმანის გამოყენება, რადგან თვითონ ფლობს გერმანულ და ასევე, რუსულ ენებს.

ამჟამად ცხოვრობს ნინოწმინდაში მეუღლესთან ერთად, როგორც ქვეყნის და ხალხის წინაშე ღირსეულად ვალმოხდილი ადამიანი.

*ნათია მარხვაშვილი,*

***ნინოწმინდის საჯარო სკოლის IX კლასის მოსწავლე.***

## ხსოვნა
## რობიზონ (რობა) როსტიაშვილი



**დადგა** შემოდგომა. ბუნებამ ფერი იცვალა, აცივდა, დღეები გაიცრიცა, ფოთლებმაც ნელ-ნელა დაიწყეს ცვენა..

მე და შენ ორივეს ეს დრო ძალიან გვიყვარდა – 30 ოქტომბერს ხომ შენი დაბადების დღეა.

უზომოდ ბედნიერი ვიყავი, შენ რომ მოევლინე ამ ქვეყანას. პატარა, სიცოცხლით სავსე, დაუცველი და ძალიან ლამაზი იყავი. როგორც დაგინახე, მაშინვე მივხვდი, რომ შენ ჩემი სულისა და ხორცის ნაწილი იქნებოდი. მართლაც ასე იყო. მთელი ცხოვრება ჩვენ ერთმანეთს ვავსებდით. ვიყავით დედა-შვილი, რომლებიც უერთმანეთოდ ვერ ძლებდნენ. ახლა 7 თვეა ჩემს გვერდით აღარ ხარ და საშინლად მენატრები, ვერაფერს ვუხერხებ ამ მონატრებას. ყოველ წუთს ველოდები, რომ გაიღება კარები, მოხვალ დედასთან, ჩაეხუტები და მოუყვები ათასნაირ ამბებს, როგორც იცოდი ხოლმე, მაგრამ ეს ხომ დედის ოცნებაა მარტო. ასე, ოცნებით გავლევ ჩემს დღეებს, როგორც უფალმა მარგუნა.

თქმა იცოდი ხოლმე შვილო – უყისმათო ვარო. ალბათ მართლა ასე იყო. შენი მოსვლა ხომ ზღაპარს ჰგავდა – იყო და არა იყო რა. გამიფრინდი, წახვედი ისე, რომ ერთი შვილიც კი არ დამიტოვე, რომ შენი სიყვარული დედას მასზე გადაეტანა. არ ვიცი, ეს ბედისწერა იყო, თუ საშინელი ავადმყოფობა, რომელიც უჩუმრად აუბედურებდა შენს ფილტვებს.

35 წლის გახდი, შვილო! როგორია დედისთვის – ვეღარ გნახავ, ვეღარ გაკოცებ და ვერ გეტყვი დაბადების დღეს გილოცავ-მეთქი. ეს ყველაფერი ძალზე მტკივნეულია, არ ვიცი უფალმა ასე რატომ ისურვა.

ჩვენ – მთელი ოჯახი მოვალთ შენს საფლავთან, მოგილოცავთ დაბადების დღეს. მერე კი გულდამძიმებულები დავტოვებთ იქაურობას.

ისღა დაგვრჩენია, ყველამ ვისურვოთ, რომ ნათელში იყოს შენი სული, ჩემო უყისმათო, ჩემო სიმწარევ და დიდო ტკივილო, შვილო, რობა!!!

*დედა*

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru